ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 13 იანვარი, 2022 №9 (8787) ფასი: 60 თეთრი

სასამართლომ სააკაშვილის საქმეზე იუსტიციის სამინისტრო გაამართლა

ინსპექტორის სამსახური გასაჩივრებას აპირებს

გვ.5

სააკაშვილი: „13-ში სასამართლოზე მივალ“

„ხაზარაძეს შარი ხეირად ექცა, შეიძლება, ლიდერად ჩამოყალიბდეს“

გვ.3

მოსამართლე არევაძემ ხაზარაძეს, ჯაფარიძესა და წერეთელს 7-7 წელი მიუსაჯა

გვ.5

სოსო ცინცაძე: „ახლა რომ ჩატარდეს პიროვნული რეიტინგების გამოკითხვა, დარწმუნებული ვარ, ხაზარაძე-ჯაფარიძის რეიტინგი სამი-ოთხი პუნქტით აიწევდა“



ბადრი ჯაფარიძეს, შეიძლება, დეპუტატობა შეუწყდეს

გვ.3

მუხლის ხანდაზმულობის გამო მათ არ დაიჭერენ

გია ხუხაშვილი: „ახლა დროს მაქსიმალურად გაწელავენ და ეცდებიან, ხაზარაძეს მოელაპარაკონ, რომ „დაწყნარდეს“ ან კიდევ რაღაცა გამოუქექონ“

„ხაზარაძე-ჯაფარიძე-წერეთლის გამჭყუნება წერტილის დასმა იქნებოდა, რომ სასამართლო არ გვაქვს“

გვ.2

„სააკაშვილმა ოპოზიცია ბოლომდე გაანადგურა“

გვ.4

მაია ნიკოლეიშვილი: „პატიმარი მთელ ქვეყანას ემუქრებოდეს, მართლა სასაცილოა“

გვ.2

შალვა ხაჭაპურიძე: „რა დროს სააკაშვილის ეკონომიკური გეგმაა, ნატოში შესვლის შანსს დავკარგავთ“



გვ.3

„ინფლაცია მსოფლიო ტენდენციებით არის გამოწვეული“

ვახტანგ ჭარაია: „ხელის გაშვერა და იმის თქმა, რომ მთავრობა არაფერს აკეთებს, არასწორია“

აზერბაიჯანსა და უზბეკეთს ემუქრებიან

უკრაინელი ექსპერტები: „კრემლი სსრკ-2-ის აღდგენას ცდილობს“

გვ.4

ISSN 1987-9385

5 ბათუმში კორპუსის ჩამონგრევისთვის დაკავებული მუშების ახლობლებმა მათი გათავისუფლება მოითხოვეს

6 გერმანიაში ინფიცირების რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა

4 ბაზარზე 170-დან მხოლოდ 40 გასართობი ცენტრი დარჩა

6 ბორის ჯონსონმა ბოდიში მოიხადა „2020 წლის 20 მაისს რეგულაცია დავარღვიე“

„ხაზარაძე-ჯაფარიძე-წერეთლის გამჭყუნება წერტილის დასმა იქნებოდა, რომ სასამართლო არ გვაქვს“

გია ხუხაშვილი: „ახლა დროს მაქსიმალურად გაწელავენ და ეცდებიან, ხაზარაძეს მოელაპარაკონ, რომ „დაწყნარდეს“ ან კიდევ რაღაცა გამოუქექონ“

იაგო ნაცვლიშვილი

3-წლიანი განხილვის შემდეგ თბილისის საქალაქო სასამართლომ „ფულის გათეთრების“ საქმეზე ბრალდებული ბიზნესმენები მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე და ავთანდილ წერეთელი გაამართლა, თუმცა მოსამართლემ საქმე გადააკვალიფიცირა თაღლითობის მუხლით, თაღლითობის ნაწილში დამნაშავედ ცნეს და 7-წლიანი პატიმრობა მიესაჯათ, მაგრამ საქმის ხანდაზმულობის გამო ისინი სასჯელისგან გათავისუფლდნენ.
ამ ვითარებაში ასე აწყობდა „ოცნებას“ თუ ვერ გაბედა მათი ციხეში ჩასმა? როგორ გაგრძელდება ვითარება და აიღებს თუ არა პაუზას მმართველი ძალა პოლიტიკური მართლმსაჯულების კუთხით? — ამ საკითხებთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი საუბრობს.

— „ქართულმა ოცნებამ“ ვერ გაბედა, ციხეში ჩაესვა ხაზარაძე, ჯაფარიძე და წერეთელი თუ ამ სიტუაციაში ასე აწყობდათ? აქვე გვითხარით, როგორ აფასებთ მთელ ამ პროცესს?

– მძიმე გადაწყვეტილების წინაშე იდგნენ. მათ აღარ ჰქონდათ გამოსავალი. ორივე შემთხვევაში, იქნებოდა ეს გამამართლებელი თუ გამამტყუნებელი, ორივეს მოჰყვებოდა სერიოზული ზარალი. გამამართლებლის მთავარი ზარალი ის არის, რომ ამას მოჰყვება შედეგები ზარალის ანაზღაურების კუთხით. ძალიან სერიოზულ ზარალზეა საუბარი. ერთი, რაც უკვე ვიცით, ის არის, რომ ანაკლიის კონსორციუმს შეტანილი აქვს სარჩელი კონტრაქტის დარღვევასთან დაკავშირებით და აქ გამამართლებელი განაჩენი ნიშნავს, რომ უსამართლოდ მიმდინარეობდა პროცესი, რამაც ფაქტობრივად გამოიწვია ფორსმაჟორი, ანუ საინვესტიციო ვალდებულებების შეუძლებლობა და, შესაბამისად, ის არის მილიარდნახევრიანი დავა, პატარა დავა არ გეგონოთ. ეს პრობლემა აქვს ხელისუფლებას.

გამამტყუნებელს რაც შეეხება, ანუ თუ გამოვიდოდა გამამტყუნებელი განაჩენი, ეს მაინც ვერ იქნებოდა გარანტია. ამით გარკვეულ ალიბს კი შეიქმნიდნენ და არბიტრაჟში იტყოდნენ, რომ თითქოს ამ საქმეს პროექტის ჩაშლასთან არანაირი კავშირი არ აქვს, მაგრამ არადამაჯერებელი იქნებოდა. შესაბამისად, არ იყო გარანტია, რომ ამით საქმეს მოიგებდნენ. იმას თავი რომ დავანებოთ, რომ ამით საბოლოოდ წერტილი დაესმებოდა, არსებობს საქართველოში სასამართლო თუ არა. ეს იქნებოდა წმინდა წყლის პოლიტიკური ვერდიქტი, იმიტომ, რომ ფულის გათეთრება ამ საქმეში სრული აბსურდი იყო და ეს თავიდანვე ყველამ იცოდა.

მათ ნახეს ერთგვარი შუალედური გადაწყვეტილება თაღლითობის მუხლით გასამართლების თაობაზე, რაც აბსურდია, რადგან დაზარალებულის გარეშე გასამართლება შეუძლებელია. სისხლის სამართლის კოდექსში წერია, რომ თაღლითობას უნდა ჰყავდეს დაზარალებული. თაღლითობა ნიშნავს, რომ ვიღაცას რაღაცა მოჰპარე. თუ დაზარალებული არ არსებობს, საქმე აბსურდულია.

გარდა ამისა, ამას რომ თავი დავანებოთ, ამ მუხლით საქმის ძიების კანონიერი უფლებაც კი არ ჰქონდა პროკურატურას, იმიტომ, რომ თავიდანვე ცხადი იყო, სამართლებრივი შედეგი ვერ დადგებოდა, ვინაიდან საქმე იყო ხანდაზმული. რა აზრი აქვს იმ მუხლით ძიებას, რაზეც სამართლებრივ შედეგს ვერ დააყენებ? ანუ, სრულ აბსურდშია დღეს ხელისუფლება.

ახლა გამოვიდა ეს განაჩენი, დაინახეს, რომ თითქოს გამოსავალი იპოვეს. ვიღაცას ესეც არ მოეწონა, იწივლა და ახლა პროკურატურამ მიიღო ახალი ბრძანება, რომ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრონ. ეს იმის იმედით კი არ ხდება, რომ შეუძლიათ, ფულის გათეთრებას დაუბრუნდნენ, არამედ ახალი მათი მიზანი დროის მაქსიმალური გაწელვაა, რათა ამ დროში მღვრიე წყალში კიდევ რაღაცა თევზი დაიჭირონ. დაახლოებით ამ სიტუაციაშია ქვეყანა. პირველ რიგში – ხელისუფლება, მაგრამ ქვეყანაც, ვინაიდან, არბიტრაჟს რომ წავაგებთ, ეს ჩვენი ჯიბიდან არის გადასახდელი, ბიძინა კი არ გადაიხდის თავისი ჯიბიდან. ამაშია მთელი უბედურება.

ხაზარაძე-ჯაფარიძემაც სამოქალაქო სარჩელი უნდა შეიტანონ, რადგან, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რამხელა ზარალი მიიღეს. ჩამოაშორეს ბანკის მმართველობას. ანაკლიის პროექტს რომ თავი დავანებოთ, მათ მიიღეს ზარალი „თიბისი ბანკში“ და რამდენიმე სხვა ობიექტზე, რეპუტაციული ზიანიდან გამომდინარე. ამიტომ ეს არის უმძიმესი საქმე ხელისუფლებისთვის. ფაქტობრივად ხელისუფლების ვერდიქტია.

— ის ფაქტი რაზე მეტყველებს, რომ სასამართლომ საქმე სხვა მუხლით გადააკვალიფიცირა? ვიცით, რომ პროკურატურა პოლიტიკურ დავალებებს ასრულებს, მაგრამ მას სასამართლო კვალიფიკაციასაც რომ უწუნებს, მისი კიდევ ერთი სირცხვილი ხომ არ არის?

– რასაც თქვენ ამბობთ, ეს იმდენად მცირე ელემენტია... ერთი და ორი პროკურორის გაწირვა რა პრობლემაა მათთვის! საქმე ის არის, რომ თავიდანვე ყველამ ყველაფერი კარგად იცოდა. გგონიათ, ამ საქმესთან დაკავშირებით პროკურატურა და სასამართლო ცალ-ცალკე მუშაობდნენ?! ან ეს ვერდიქტი სასამართლოშია დაწერილი?! – არა, თავიდან ბოლომდე ერთად მუშაობდნენ. იმედი ჰქონდათ, რომ ჩაფარცხავდნენ ამ საქმეს. ანაკლიის კონსორციუმის სარჩელი რომ არ არსებობდეს, მაშინ ჩაფარცხავდნენ და დიდი ხნის დამთავრებული იქნებოდა, მაგრამ ახლა ის აქვთ ძვალივით გამოდებული ყელში და ამის გამო იძულებული არიან, რაღაცა იფართხალონ.

— რაც შეეხება იმიჯურ დაზიანებას, ამ მხრივ რა გავლენა ექნება?

– ამ ხელისუფლებას კიდევ აქვს რამე იმიჯი? არა მგონია, რამე იმიჯი ჰქონდეს შენარჩუნებული. უბრალოდ, კარგი ერთი რამეა, რომ ისინი არ არიან მზად, საბოლოოდ გადაკვეთონ წითელი ხაზები. მათ მაინც უნდათ შუალედური თამაშები – თან აკეთონ ასეთი რაღაცები, განუკითხაობა ჰქონდეთ და თან კაი ბიჭის სახელი. ასეთი კომბინაცია ბუნებაში არ არსებობს. შეიძლება, ერთხელ მოატყუო და ორჯერ, მაგრამ ყოველთვის და ყველა, ასეთი რაღაც შეუძლებელია. ამ საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა წითელი ხაზის გადაკვეთა იქნებოდა. ეს რომ ვერ გაბედეს, უკვე კარგია.

— ჩაშლეს ანაკლიის პროექტი და სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურდა, რომ სულ ტყუილად. ამაზე ამერიკისთვის პასუხების გაცემა არ მოუწევთ, რომელიც ჩართული და დაინტერესებული იყო პროექტის დასრულებით?

– მე ვახსენე მილიარდნახევრიანი სარჩელი. მერე სარჩელზეა მიბმული პოლიტიკური ნაწილიც და ყველაფერიც. თუ დადასტურდა, რომ პოლიტიკური ინტერესით მიიღეს ეს ყველაფერი და ეს სამართლებრივი დევნა პირდაპირ კავშირშია ანაკლიის პროექტის ჩაშლასთან, ამას მოჰყვება თავისი შედეგები, როგორც მატერიალური, ასევე პოლიტიკური ნაწილი.

— პოლიტიკური ნაწილი რა შეიძლება იყოს?

– ათასი რაღაცა შეიძლება იყოს.

— გასაგებია, რომ ხელისუფლება დროს გაწელავს, მაგრამ ვითარება როგორ წარმოგიდგენიათ?

– შეეცდება, რომ ვითომ რაღაცას აკეთებს და ამ პერიოდში ეცდებიან, მოელაპარაკონ ხაზარაძეს, რომ „დაწყნარდეს“ და გაჩერდეს, ან კიდევ რაღაცა გამოუქექონ. ფაქტია, მათ ამოცანა აქვთ, რომ დრო მაქსიმალურად მოიგონ და გაწელონ.

— ზოგადად, პოლიტიკური ანგარიშსწორება გაგრძელდება თუ მცირე პაუზას უნდა ველოდოთ?

– გარკვეული პაუზა იქნება, იმიტომ, რომ სააპელაციოში სარჩელი მარტო პროკურატურას კი არ შეაქვს, არამედ შემხვედრ სარჩელს ხაზარაძის მხარეც ამზადებს, რათა აბსურდული ბრალი მოეხსნათ. თაღლითობის მუხლით ვერდიქტის გამოტანაც სრული აბსურდია.

— ამ შემთხვევაში პაუზაში კონკრეტულად ეს საქმე არ მიგულისხმია, ვგულისხმობ პოლიტიკურ მართლმსაჯულებას მთლიანად ქვეყანაში.

– არა, მთლიანად ქვეყანაში პაუზა ვერ იქნება, იმიტომ, რომ თუნდაც ამ განაჩენით დადასტურდა პოლიტიკური მართლმსაჯულება, უარყოფილი კი არ ყოფილა. ასეთ შუალედურ და აბსურდულ განაჩენს სჯობდა, რომ საბრალდებო გამოეტანათ. ახლა ტრაგიკომიკური გადაწყვეტილება გამოიტანეს. გამოიტანეს ისეთი ვერდიქტი, როგორი ბრალდება არც კი ყოფილა და ვერც იქნებოდა, რადგანაც საქმე ხანდაზმულია და ხანდაზმულ საქმეზე ვერდიქტის გამოტანა აბსურდი არ არის?! თაღლითობის მუხლზე ხანდაზმულობის ვადა დიდი ხნის გასულია. შესაბამისად, პროკურატურას ამ საქმის ძიების კანონიერი საფუძველიც არ ჰქონდა, არათუ სასამართლოში ვერდიქტის დაყენების.

„რა დროს სააკაშვილის ეკონომიკური გეგმაა, ნატოში შესვლის შანსს დავკარგავთ“

შალვა ხაჭაპურიძე: „დღეს ყველა ერთ თამაშს თამაშობს, პოზიციაც და ოპოზიციაც და ყველას ერთად უნდა, რომ საქართველო რუსეთის შემადგენლობაში დაბრუნდეს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი შალვა ხაჭაპურიძე პასუხობს.

— ბატონო შალვა, გუშინ ცნობილი გახდა სასამართლოს გადაწყვეტილება ხაზარაძე-ჯაფარიძე-წერეთლის საქმეზე. მოსამართლემ სამივე მათგანი დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში, თუმცა საქმე გადააკვალიფიცირა და ხანდაზმულობის გამო საქმე შეწყდა და მათ სასჯელი გაუუქმდათ. თქვენ, როგორც უფლებადამცველი, როგორ აფასებთ მოსამართლის გადაწყვეტილებას?

– ზუსტად ეს დავწერე სასამართლოს წინა საღამოს. შეგიძლიათ ნახოთ ჩემი პოსტი, რომ ხანდაზმულობის გამო გადააკვალიფიცირებს და ხანდაზმულობის გამო შეუწყვეტს საქმეს-მეთქი.

— ვისმენთ პოლიტიკურ განცხადებებს, რომ ვერ გაბედეს დაჭერა და ასე შემდეგ. რას იტყვით თქვენ?

– სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება და ამის უკან რა დგას, ეს უკვე ვარაუდებია. სამართლებრივად მიმდინარეობდა საქმის განხილვა. მე წინა საღამოს დავწერე პოსტი, რომ შეწყვეტს ბრალს ფულის გათეთრებაში, საქმეს გადააკვალიფიცირებს სხვა მუხლზე და ხანდაზმულობის გამო საქმეს შეწყვეტავს-მეთქი. მე მკითხაობა კი არ დამიწყია ან რაიმე შიდა ინფორმაციები კი არ მქონია, მე სამართლებრივად რასაც ვუსმენდი და ასევე კავშირი მქონდა ხაზარაძის ადვოკატთან, კორძაძესთან, ასე თუ ისე, საქმეს კარგად ვიცნობდი და, ფაქტობრივად, წარმოუდგენელი იყო ამაზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა. რაღაც სახე ხომ უნდა შენარჩუნებულიყო, ამიტომ შეცვალეს კვალიფიკაცია და გადაიყვანეს ისეთ მუხლზე, რომელიც ხანდაზმულია და ამით მორჩა.

— თავიდანვე სამართლებრივად რამდენად სწორი იყო მათ წინააღმდეგ საქმის აღძვრა? ამდენი წელი ასე ატარეს სასამართლოებში ეს ხალხი? გაუყინეს ანგარიშები და ყადაღა დაადეს მათ ქონებას. პოლიტიკურ ანგარიშსწორებასთან გვქონდა საქმე?

– ხაზარაძე ამ საქმის დასაწყისში პოლიტიკური ფიგურა არ იყო.

— თუმცა მას და ივანიშვილს შორის შავმა კატამ გაირბინა. ესეც ხომ ცხადია?

– დიახ. ასე იყო და ეს ყველაფერი დაიწყო რაღაც წერილით. გახარიამ გამოაგზავნა წერილიო. საზოგადოებაში ამ ამბავმა ასე გამოჟონა, თუმცა, როგორც შემდეგ გაირკვა, მანამდეც ყოფილა შიდადაპირისპირებები ანაკლიის პორტთან დაკავშირებული, კვირიკაშვილიც იყო ამ საქმეში ნახსენები. დეტალებზე საუბარი რთულია, მაგრამ...

— პოლიტიკური სუნი თავიდანვე ასდიოდა ამ საქმეს?

– დიახ, ასეა. გინდა, არ გინდა, პოლიტიკაშია ეს კაციც, პარტიის თავმჯდომარეა და ისედაც პოლიტიკური ელფერი დაჰკრავდა ამ საქმეს ყველა მოცემულობით. ღვთის წყალობით, დამთავრდა ნორმალურად.



— როგორც ცნობილია, ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებენ.

– ალბათ გაასაჩივრებენ, მაგრამ მეეჭვება, რომ ზემდგომმა ინსტანციამ რამე შეცვალოს. ეს საქმე ალბათ ასე დარჩება. დარწმუნებული ვარ, არაფერი შეიცვლება, იმავეს დატოვებს ძალაში სააპელაციო და უზენაესი საერთოდ არ მიიღებს ამ საქმეს წარმოებაში.

— ბატონო შალვა, ითქვა ისიც, რომ ხელისუფლებასა და ხაზარაძე-ჯაფარიძის გუნდს შორის გარკვეული გარიგება მოხდა და სწორედ ამის სანაცვლოდ დადგა სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილება. ამ მოსაზრებას თუ იზიარებთ?

– პირდაპირ გეტყვით, მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ მოსამართლე დაჯდა და თვითონ გადაწყვიტა ეს. რამხელა იდიოტი უნდა იყო, ეს რომ დაიჯერო. რა თქმა უნდა, ქართულ სასამართლო სისტემაში რასაც ჩასძახებენ, იმას ამოსძახებენ. შეიძლება, ეს არ ეხებოდეს რიგით საქმეებს, ვიღაცა რიგითმა მოქალაქემ ვიღაც დაჭრა ან იქურდა, ამ შემთხვევაში სასამართლოს რაღაცა ტიპის დამოუკიდებლობა გააჩნია, თუმცა თვითშეზღუდვები აქაც დაწესებული აქვთ. ზოგადი თამაშის წესები დადგენილია, მაგრამ ამ ტიპის გადაწყვეტილებას ხაზარაძის საქმეზე მოსამართლე თვითონ რომ არ მიიღებდა, ამას არ უნდა ბევრი მსჯელობა. ჩვენ არ გვაქვს ისეთი სისტემა, რომ ასეთ გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად იღებდნენ მოსამართლეები.

— რას იტყვით დღევანდელ სასამართლო სისტემაზე, რამდენად პოლიტიზებულია? როგორია თქვენი შეფასებები?

– დღეს ჩვენ სასამართლო სისტემა არა გვაქვს, მოდით, ვთქვათ პირდაპირ. თუმცა ეს უკეთესია, ვიდრე საკაშვილის დროს იყო, ესეც უნდა ითქვას. ეს სასამართლო ვერც კი მიუახლოვდება იმას, რაც ლადო ჭანტურიას დროს იყო. ყველაზე კარგი სისტემა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში იყო ლადო ჭანტურიას პერიოდში. ეს არის 1999-დან 2004-2005 წლები.

— რის თქმა გინდათ, რომ შევარდნაძე სასამართლო სისტემაში ისე არ ერეოდა, როგორც საკაშვილისა და ივანიშვილის ხელისუფლებები?

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ხაზარაძეს შარი ხეირად ექცა, შეიძლება, ლიდერად ჩამოყალიბდეს“

სოსო ცინცაძე: „ახლა რომ ჩატარდეს პიროვნული რეიტინგების გამოკითხვა, დარწმუნებული ვარ, ხაზარაძე-ჯაფარიძის რეიტინგი სამი-ოთხი პუნქტით აიწევდა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, პროფესორი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ხაზარაძე-ჯაფარიძე, წერეთლის სასამართლო განაჩენზე საუბრობს. პოლიტოლოგის შეფასებით, მოსამართლის მიერ გამოცხადებული განჩინება პოლიტიკოსების უდავო გამარჯვებაა.

– ბატონო სოსო, როგორ ფიქრობთ, მოსამართლის გადაწყვეტილება რით იყო ნაკარნახევი?

– როგორც ჩანს, ვიღაცა მაინც დაფიქრდა, რომ ეს საქმე სტრასბურში წავიდოდა და იქ თავზე გადაახევდნენ, რომ ამ საქმეს არავითარი პერსპექტივა არ ჰქონდა. არა მგონია, აქ შიში იყო გადამწყვეტი, რომ ვერ გაბედეს მათი ციხეში გაშვება. თავიდანვე ძალიან არაპროფესიონალურად იყო ბრალდება შედგენილი. ძიება საერთოდ საქართველოში აქილევსის ქუსლია. შეიძლება ითქვას, მოსამართლე არევაძემ სოლომონ ბრძენის გადაწყვეტილება ნახა, უთხრა – შენც მართალი ხარ, შენც მართალი ხარ!

– ხაზარაძე-ჯაფარიძისთვის ეს გადაწყვეტილება არის გამარჯვება?

– შეიძლება ვთქვა, ძალიან დიდი გამარჯვებაა. გარდა იმისა, რომ სამართლებრივად არის გამარჯვება, ადამიანური გამარჯვებაა. ეს ადამიანები უკვე თითქოს მზად იყვნენ ცხრა წლით ციხეში წასასვლელად.

– პოლიტიკურად?

– რაც შეეხება პოლიტიკას, პირველ რიგში, მათი რეიტინგი განმტკიცდა. როგორც პოლიტიკოსებისთვის, მათთვის, ყველა შემთხვევაში, ეს გამარჯვებაა. ახლა რომ ჩატარდეს პიროვნული რეიტინგების გამოკითხვა, დარწმუნებული ვარ, სამი-ოთხი პუნქტით აიწევდა მათი რეიტინგი. მეტსაც გეტყვით, მამუკა ხაზარაძეს ოპოზიციის ერთ-ერთ სერიოზულ ლიდერად ჩამოყალიბების პერსპექტივა აქვს. ეს არის გამარჯვება არა მხოლოდ იმით, რომ ციხეს გადაურჩნენ და ციხის კარი არ შეაღეს, არამედ ასეთი გამოთქმაა: შარი ხეირად ექცათ.

„ქართულმა ოცნება“ უნებურად ხელი შეუწყო ორი მისი შეურიგებელი მოწინააღმდეგის გავლენისა და პოპულარობის ზრდას, რაც პოლიტიკაში ძალიან მნიშვნელოვანია.

– ხელისუფლება, მაგალითად, მიხეილ სარჯველაძე, აცხადებს, რომ ხაზარაძე-ჯაფარიძის საქმე პოლიტიკურად იყო მოტივირებული და ნიადაგი გამოეცალა.

– სხვას ელოდებოდით?! რა უნდა თქვას სარჯველაძემ?! ნიადაგი მაშინ გამოეცლებოდა, თუ თავიდან ბოლომდე გაამართლებდნენ და მოსამართლე სხვა განაჩენს გამოაცხადებდა.

ხელისუფლება ახლა ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. ძალიან მძიმე მდგომარეობის შემდეგ ცდილობს, ნაწილობრივ მაინც შეინარჩუნოს სახე. დასავლეთს ეტყვიან, კი არ გამართლდნენ, გამტყუნდნენ, მაგრამ საქმის ხანდაზმულობიდან გამომდინარე გათავისუფლდნენო.

– ასე თუ ისე, ამ ადამიანებს ხელ-ფეხი გახსნილი აქვთ პოლიტიკის საკეთებლად. როგორი შეიძლება იყოს მათი შემდგომი ნაბიჯები? შეიძლება, უფრო გააქტიურდნენ თუ პირიქით?

– ჯერ კიდევ ერთი დღის წინ მათ არ იცოდნენ, ამ დროისთვის ხელებზე ბორკილები ედებოდათ და ციხის გზას გაუყვებოდნენ თუ თავისუფლებაზე დარჩებოდნენ. ამიტომ, უმთავრესია, რომ ისინი თავისუფლები არიან. ეს ძალიან დიდი გამარჯვებაა. ეს დღე, მე ვიტყოდი, ღირსშესანიშნავი თარიღია არა მხოლოდ პოლიტიკურ ბიოგრაფიაში, არამედ მათ ცხოვრებაში.

რაც შეეხება თქვენს კითხვას პოლიტიკურ აქტივობასთან დაკავშირებით, ლოგიკურად, უნდა გააქტიურდნენ, რადგან ორივე თეთრ ცხენზე ზის და ეს მათ უნდა გამოიყენონ ყველა მიმართულებით, როგორც ქვეყნის შიგნით ამომრჩეველთან კომუნიკაციის მიმართულებით, ისე ქვეყნის გარეთ.

ეს უნდა იყოს მათი გააქტიურების მოტივატორი. ასევე უნდა გააქტიურდეს პარტიაც და ახლებურად, სხვანაირად უნდა დაიწყონ პოლიტიკური პროცესი როგორც ლიდერებმა, ისე – პარტიამ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, წარმოიდგინეთ, ქონებას, რომელიც აქამდე დაყადაღებული იყო, მოეხსნა ყადაღა. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. პოლიტიკაში ფინანსები გადამწყვეტია, მით უფრო – საქართველოში. ამიტომ ხაზარაძე-ჯაფარიძეს ამ მიმართულებითაც ეხსნებათ ხელ-ფეხი. დარწმუნებული ვარ, ახლა ისინი მთელ ყურადღებას პოლიტიკაზე გადაიტანენ და ასეც უნდა იყოს, თუ უნდათ რაიმეს მიღწევა პოლიტიკაში. თუ აქამდე გახლეჩილი იყვნენ პოლიტიკასასამართლოს შორის, ახლა მთლიანად უნდა გადაერთონ პოლიტიკაზე. როდესაც ოპოზიციას ლიდერების ასეთი დეფიციტი აქვს, ხაზარაძემაც და ჯაფარიძემაც ეს დივიდენდები, მე ვიტყოდი, პოლიტიკური დივიდენდები, უნდა გამოიყენონ და არ უნდა გაფლანგონ.

„ინფლაცია მსოფლიო ტენდენციებით არის გამოწვეული“

ვახტანგ ჭარაია: „ხელის გაშვერა და იმის თქმა, რომ მთავრობა არაფერს აკეთებს, არასწორია“

– ახალი პოლიტიკის დამსახურებით, რომელიც ირაკლი ღარიბაშვილის მოსვლის შემდეგ დაიწყო, დაფიქსირდა ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი ჩვენს რეგიონში, – აცხადებს ეკონომიკური ექსპერტი ანდრია გვიდიანი.

ის ნაბიჯები, რომლებიც ხელისუფლებისა და ეროვნული ბანკისგან გადაიდგა, ორიენტირებული იყო ინფლაციის დონის შემცირებაზე, ინფლაციის გაზრდა კი საგარეო ფაქტორებმა გამოიწვია.

– აქცენტი გაკეთდა ბიზნესების უფრო მეტ გახსნილობაზე, ნაკლებ შეზღუდვებზე და მაქსიმალურ აქტიურობაზე. ყველა პარამეტრი, რომელიც ეკონომიკურ ზრდაში მონაწილეობს, არის გაუმჯობესებული და სწორედ ეს არის პანდემიის მართვის განსხვავებული მოდელის შედეგი.

ინფლაციის მაჩვენებელი წინა წელს მაღალი იყო, თუმცა აქ არის მთელი რიგი გარემოებები – საერთაშორისო მასშტაბით გაძვირებულია სასურსათო პროდუქტების ფასები, ლოჯისტიკისა და გადაზიდვის ხარჯები, ნავთობის ფასები, ამან იქონია გავლენა საქართველოში ინფლაციის ზრდაზე. ჩვენი ინფლაციის წილის 80% საგარეო ფაქტორებმა გამოიწვია.

ის ნაბიჯები, რომლებიც ხელისუფლებისა და ეროვნული ბანკისგან გადაიდგა, ორიენტირებული იყო ინფლაციის დონის შემცირებაზე, საგარეო ფაქტორები კი არის ის გამონაკლისი, რაზეც ჩვენ ზეგავლენას ვერ ვახდენთ. ჩვენ ვერ გვექნება დანარჩენი მსოფლიოსგან განსხვავებული ვითარება და ბუნებრივია, რომ პანდემიის პირობებში მსოფლიოში მიმდინარე პროცესები პროპორციულად აისახება საქართველოზე, – განაცხადა ანდრია გვიდიანმა.

ეკონომიკის ექსპერტ იოსებ არჩვაძის თქმით, სერიოზულ გამოწვევად ინფლაციის მაჩვენებელი რჩება.

– ამ ინფლაციის მაჩვენებელშიც გასათვალისწინებელია, რომ ეს ეგზოგენური ფაქტორების გამო არის გამოწვეული, ანუ ჩვენ ვახდენთ იმპორტს იმ საქონლისა, რომელიც მსოფლიო ბაზარზე განსაკუთრებით გაძვირდა – ენერგორესურსები, ნავთობი და სურსათი, მათ შორის მარცვლეული და მათი სრული ჩანაცვლება არ შეგვიძლია. ძალიან ვართ დამოკიდებული ამ საქონლის შეძენაზე და ხდება გაძვირებული საქონლის ფასების გადმოტანა შიდა ბაზარზე, რისი გადახდაც საბოლოო ჯამში რიგით მოქალაქეებს უწევთ. რომ არა ეს გარემოება, ჩვენ ინფლაციის მაჩვენებელი გაცილებით დაბალი გვექნებოდა, – განაცხადა ექსპერტმა.

გვაქვს სერიოზული გარღვევა საფინანსო-საბიუჯეტო და სხვა პარამეტრების მიხედვით, იგივე სამთავრობო ვალის 10%-ით შემცირება მშპ-სთან, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება და დეკემბერში წინა წლის დეკემბერთან შედარებით ვალუტის კურსის გამყარება.

– ჩვენ წლის ბოლოსათვის ეკონომიკური განვითარების ტემპები კი არ დავაგდეთ, არამედ განვავითარეთ პოზიტიური ტრენდი, რაც მიმდინარე წლის მარტ-აპრილიდან შეინიშნება საქართველოს ეკონომიკაში. მომავალ წელსაც ველოდებით საკმაოდ დამაიმედებელ ეკონომიკურ ზრდას. შეიძლება, რომ უფრო მაღალ ეკონომიკურ ზრდაზეც ვიფიქროთ, – დასძინა იოსებ არჩვაძემ.

ოთარ ანგურიძის შეფასებით, გასულ წელს ორნიშნა მაჩვენებლის დაფიქსირებაზე ბევრმა ფაქტორმა იმოქმედა.

– წელი საინტერესოდ დაიწყო ქართული ეკონომიკისათვის იმ თვალსაზრისით, რომ როდესაც დიდი ხანი გვქონდა ლოკდაუნი და ძალიან ბევრი მიმართულებით გაჩერებული იყო ყველაფერი, „კომენდანტის საათი“ იყო და ა.შ. ამან ძალიან დიდი დარტყმა მიაყენა ჩვენს ეკონომიკას.

ყველაფერი ისე დალაგდა, რომ ამან გამოიწვია არა მხოლოდ პლუსზე გასვლა, არამედ ეკონომიკაში უფრო მეტი ამბიციები გაჩნდა და წლის ბოლოს მივიღეთ ორციფრიანი ეკონომიკური ზრდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე მხოლოდ 11 თვის მონაცემები ვიცით.

ერთადერთი, რაც თავის ნიშნულამდე ვერ აღდგა, არის ტურიზმის სექტორი და, ვფიქრობ, აქაც საკმაოდ კარგი შედეგები გვექნება, – განაცხადა ოთარ ანგურიძემ.

მისივე თქმით, ბევრი მიმართულებით გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა, გაიზარდა ტურისტული ცენტრების რაოდენობა, ახალი საკურორტო ზონები დაემატა და ა.შ.

– კარგი და აღსანიშნავია ის, რომ ექსპორტი რეკორდული რაოდენობით გვეზრდება, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებში. ანუ ეს რას ნიშნავს? ჩვენს ქვეყანაში გარკვეული მიმართულებებით წარმოება იზრდება. შეიძლება ერთი მიმართულებით ბუმი არ გვქონდეს, მაგრამ ნელ-ნელა ყველა მიმართულებით უმჯობესდება როგორც რაოდენობრივი წარმოება, ასევე პროდუქციის ხარისხობრივი განვითარება. ეს ზრდა 2022 წელსაც გაგრძელდება და აქ იმ ფაქტორსაც გამოვყოფდი, რომ ჩვენთან იმპორტიც იზრდება, – აღნიშნა ანგურიძემ.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ვახტანგ ჭარაია ინფლაციის შემცირებასთან დაკავშირებით ეკონომიკის და ფინანსთა მინისტრების განცხადებას აფასებს.

ამასთან, ექსპერტმა 2021 წელს ორნიშნა ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრის განცხადებაზეც ისაუბრა და ხაზგასმით აღნიშნა, „2022 წელს დიდია მოლოდინი, რომ ეკონომიკური ზრდა კიდევ უფრო მაღალ ნიშნულზე ავა“.

– მთლიანობაში 2021 წელი მთელი რიგი ეკონომიკური მიღწევებით იყო აღსანიშნავი და აგრეთვე საკმაოდ დიდი სირთულეებითაც.

ინფლაცია მთელ მსოფლიოში პრობლემური იყო 2021 წელს და მათ შორის საქართველოშიც, ძირითადად იმპორტირებული ინფლაციის ხარჯზე ორნიშნა იყო და ამან სირთულეები შეუქმნა ჩვენს მოსახლეობას.

თუმცა მთლიანი ეკონომიკის აღდგენის კუთხითაც საკმაოდ პოზიტიური წელი იყო. აქვე აღსანიშნავია ექსპორტის გაზრდა დაახლოებით 1.3%-ით, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებით გაორმაგება წინა წელთან შედარებით, ფულადი გზავნილები საკმაოდ დიდი მოცულების იყო, აგრეთვე ინვესტიციების მაჩვენებლის გაუმჯობესება სამი კვარტლის მონაცემებს თუ შევადარებთ, – განაცხადა ექსპერტმა.

მთლიანობაში, წელი საკმაოდ პოზიტიური იყო.

– იმედი მაქვს, რომ 2022 წელს თუ განსაკუთრებულმა კოვიდსირთულემ ხელი არ შეგვიშალა და იმასაც დავამატებ, რომ რეგიონში თუ სტაბილურობა იქნება, რუსეთ-უკრაინის დაპირისპირება არ მოხდა, წესით, მოსალოდნელია, ჩვენ სრულფასოვნად გადავასწროთ 2019 წლის შედეგებს და გვქონდეს მნიშვნელოვანი ძვრები როგორც სამუშაო ადგილების შექმნის, ასევე ეკონომიკური და ცხოვრების დონის გაუმჯობესების, მათ შორის ფასების დასტაბილურების კუთხით.

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ციფრული ტექნოლოგიების კუთხით რამდენიმე ათასი კადრი მომზადდება, აიტი კომპანიების საქართველოში ჩამოყვანაზე და კიდევ ბევრ სხვა საკითხებზე ისაუბრა, რაც საკმაოდ რეალისტურია, მაღალი მოთხოვნაა მსოფლიოში და მაღალანაზღაურებადი პროფესიებია ზოგადად.

ხელის გაშვერა ხელისუფლებისკენ, რომ არაფერი კეთდება და უმოქმედობით არის ინფლაცია გამოწვეული, არასწორია. დიდწილად მსოფლიო ტენდენციები და მათ შორის კოვიდვირუსის გავლენაზეა დამოკიდებული არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში, ის ეკონომიკური შედეგები რაც ფიქსირდება. იმის თქმა რომ მთავრობა არაფერს აკეთებს ნამდვილად არასწორია, იმიტომ, რომ მთავრობის საკმაოდ კარგი ნაბიჯები მახსოვს, მაგალითად, იგივე მცირე და საშუალო ბიზნესის დახმარების კუთხით, – განაცხადა ვახტანგ ჭარაიამ.

პრემიერ ღარიბაშვილის თქმით, 11 თვის წინასწარი მონაცემების მიხედვით, ეკონომიკური ზრდა 10,7%-ს შეადგენს; 2021 წელს ჩვენ მივაღწიეთ ორნიშნა ეკონომიკურ ზრდას.

რაც შეეხება ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრის განცხადებებს, ნათია თურნავას თქმით, ფასების ზრდის დონით გამოწვეული პრობლემები არის დაძლევადი, ჩვენ გვაქვს ამის გეგმა, გვაქვს ამის ხედვა და უკვე გაზაფხულიდან ველოდებით ნორმალიზაციას.

ფინანსთა მინისტრი კი აცხადებს, რომ პირველი კვარტლის ბოლოს ინფლაცია შემცირებას დაიწყებს და წლის ბოლოს მიზნობრივი მაჩვენებლისგან შორს არ იქნება.

ბადრი ჯაფარიძეს, შეიძლება, დეპუტატობა შეუწყდეს

დეპუტატ ბადრი ჯაფარიძის მიმართ გამოტანილი სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, შესაძლოა, მისთვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი გახდეს.

აღნიშნულ საკითხზე პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი იმსჯელებს.

საქართველოს კონსტიტუციისა და პარლამენტის რეგლამენტის გათვალისწინებით, პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება, თუ იგი კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით ცნობილია დამნაშავედ.

ასეთ შემთხვევაში პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 15 დღის ვადაში გამოითხოვს განაჩენს და დაუყოვნებლივ ამზადებს შესაბამის დასკვნას.

– როცა სასამართლოს დეპუტატის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოაქვს, უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი დგება. კანონში ასე წერია. ჩვენ, რა თქმა უნდა, საკითხს განვიხილავთ და დასკვნას პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გავიტანთ. ამის შემდეგ გადაწყვეტილების მიღება პარლამენტის პრეროგატივაა, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ქადაგიშვილმა.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

„სააკაშვილმა ოპოზიცია ბოლომდე გაანადგურა“

მაია ნიკოლეიშვილი: „პატიმარი მთელ ქვეყანას ემუქრებოდეს, მართლა სასაცილოა“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი პასუხობს.

– ქალბატონო მაია, პატიმარმა სააკაშვილმა იფიქრა, იფიქრა და კარგად ნაცნობი ძველი იდეა წამოაყენა შავი სიის შედგენის თაობაზე. თქვენც ხომ არ ელოდებით შავ სიაში ჩასმას?

– ეგ ძალიან ნაკლებად მაწუხებს, ამიტომ მაგაზე არ ვფიქრობ. ერთი მხრივ, ეს ძალიან ბავშვური ქცევაა, მეორე მხრივ, პოლიტიკურად იმდენად წამგებიანია, უბრალოდ, უარესს ვერ მოიფიქრებ. ერთადერთი, ადამიანმა შავი სია დაწეროს გულის მოსაფხანად, დამუქრებისთვის – მოვალ და ამას გიზამთ ან ბიძაჩემს დავუძახებ და ყველას გცემთო.

ახლა შავი სიის წერა რა დონის ბავშვური ქცევაა, ვერ გეტყვით. პატიმარი მთელ ქვეყანას ემუქრებოდეს, მართლა სასაცილოა, საღი გონების ფარგლებში არ ჯდება. უბრალოდ, მიკვირს, რატომ არ ეუბნებიან, კარგი რა, სასაცილოდ ნუ აიგდე თავი, ბოლო-ბოლო, პრეზიდენტი იყავიო. სასაცილოა.

– 30 წელი რატომ ვერ გავცდით შავი სიების წერას?

– შავი სიების შედგენა ადრეული ბოლშევიკების მეთოდი იყო. ახლა შავი სიების შედგენა ნეობოლშევიზმის გამოვლინებაა. ნაცები ბოლშევიკებს ვერ გასცდნენ. ადამიანს შავი სიის დაწერის სურვილი ებადება, როდესაც არ შეუძლია კეთება და მხოლოდ ბოროტებაზე, ბოღმაზე, სიძულვილზე, შურისძიებაზეა ორიენტირებული. ნაცსექტაც ამაზეა აგებული. მათი ერთადერთი სურვილი ძალაუფლების დაბრუნებაა. პურს არ შეჭამენ, ოღონდ ძალაუფლება მოიპოვონ.

შიმშილობებმა რა შედეგიც გამოიღო, ხედავთ, მიტინგებმა რა მოიტანა, იცით. ახლა კიდევ მიტინგები უნდა მოვაწყოთო. ამ ხალხს, დესტრუქციის გარდა, არაფერი შეუძლია. ისინი საბოლოოდ დესტრუქციულ სექტად დეგრადირდნენ. ნაცმოძრაობა ჩვეულებრივი დესტრუქციული სექტაა. აქედან გამომდინარე, საინტერესო არ არის, რა სიას შეადგენენ. ისინი ჭინკებივით იქცევიან.

– გამოჩნდა არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი სახელმწიფო“, რომელმაც თითქოს ნაცებისაგან დამოუკიდებლად ითავა შავი სიის შედგენა, განაცხადა, რომ სააკაშვილისა და ნაცების საქმეს არ აკეთებს.

– ვინ დაიჯერებს, რომ დამოუკიდებლად მოქმედებენ. ეგენიც ისეთივე მანიაკები იქნებიან. ვინც სააკაშვილს ჰყვება, ისიც ისეთივე ფსიქოზშია. სააკაშვილი რეალობასაა აცდენილი, რეალობას არ იღებს, არ უნდა, რეალობა მიიღოს. იმის მაგივრად, რომ ვინმემ ის რეალობას ნელ-ნელა შეაგუოს, ამ კაცის დავალებებს ასრულებს. ისიც ციხიდან რეპრესიებს მართავს, იმუქრება, ყველას დაგიჭერთო. ასეთი რამ სადმე გაგონილა? ეს უკვე ანეკდოტია.

– როგორც მე მეუბნებიან, ნაცმოძრაობას ხალხი ხმას აძლევს სააკაშვილის გამო, ანუ ამ პიროვნებას ჯერ კიდევ ხმას აძლევს ნახევარ მილიონზე მეტი ამომრჩეველი. ამიტომ ეს პრობლემა არ არის?

– დარწმუნებული ვარ, უფრო მეტი აქტივობა რომ იყოს, დღეს მათ ნაკლები მხარდამჭერი ეყოლებოდათ. დღეს სააკაშვილის გვერდით დარჩნენ ის ადამიანები, რომლებიც ერთ წვენში იხარშებიან, რომლებსაც თავიანთი ცხოვრების სხვა პერსპექტივის დანახვა არ უნდათ. ეს არის მათი ბოლომდე რომ არ დაიმსხვრეს, თავს ამით იწყნარებს.

– სააკაშვილი ციხეში ეკონომიკურ პროგრამას წერსო. თქვენ თუ ელოდებით სააკაშვილის პროგრამით ქვეყნის აღორძინებას?

– მისი აყვავებული ბევრი ვნახეთ – ფონდები, ჩამორთმეული ქონება. ახლა შეიძლება აღრიცხოს, ვის რამდენი მანქანა, ვის რამდენი ქონება აქვს, რომ წაართვას, მაგრამ ამით ხომ საკუთარ თავს დაიკმაყოფილებს. პიროვნულად ბოლომდე რომ არ დაიმსხვრეს, თავს ამით იწყნარებს.

აზერბაიჯანსა და უზბეკეთს ემუქრებიან

უკრაინელი ექსპერტები: „კრემლი სსრკ-2-ის აღდგენას ცდილობს“

მარიამ მჭედლიშვილი

ევროპასა და აზიაში მიმდინარე მთავარი მოვლენები ეხება საქართველოს. საქართველოსა და უკრაინის მიმართ დასავლეთის ინტერესი ძლიერდება, რასაც ერთვის რუსეთის გააქტიურება და ულტიმატუმები.

ყაზახეთიდან კოლექტიური უშიშროების ორგანიზაციის („ოდკბ“) ძალების გამოყვანაზე გადაწყვეტილება მიღებულია, თუმცა ამ ძალების ამ სახელმწიფოში შეყვანამ სიტუაცია შეცვალა.

უკრაინელი ექსპერტების აზრით, ყაზახეთში „ოდკბ“-ს (ფაქტობრივად, რუსეთის ჯარის) შესვლა შეიცავს ჰიბრიდული ომის ნიშნებს და უკრაინაში რუსეთის მოსალოდნელი შეჭრის მომზადებაა.

ამგვარი ჰიბრიდული ქმედებების დროს კრემლი განიხილავს ორ ვარიანტს. პირველი ვარიანტის დროს სახელმწიფოში რჩება პირობითი სუვერენიტეტი და მყარდება ან ძლიერდება პრორუსული რეჟიმი. მეორე ვარიანტი გულისხმობს სახელმწიფოს სუვერენიტეტის სრულ გაუქმებას.

უკრაინელი კომენტატორების დასკვნით, კრემლისთვის ორივე ვარიანტი აქტუალურია, ვინაიდან ორივეს მოსკოვი მიჰყავს მთავარ ამოცანამდე. ეს ამოცანა მდგომარეობს „სსრკ-2“-ის აღდგენაში.

მათი შეფასებით, ყაზახეთში განვითარებულმა მოვლენებმა მსოფლიო მოსწყვიტა უკრაინის პრობლემას. ბლინკენის მკაცრი და შეუვალი განცხადებების შემდეგ კრემლი ჯეკპოტს ვერ გაითამაშებს. ამიტომ რუსეთი აძლიერებს ჰიბრიდულ მიმართულებას.

– ყაზახეთში კრემლმა გააფართოვა თავისი ტაქტიკური შესაძლებლობები კიევთან დიდი ომის შემთხვევაში. მისთვის ადვილია საბაბის გამონახვა, რათა გაამართლოს შეჭრა, – აცხადებენ ექსპერტები.

რა უნდა იყოს კრემლის საბაბი უკრაინის აღმოსავლეთზე თავდასხმისათვის?

ავტორების სიტყვებით, კრემლი ამ შემთხვევაში იყენებს უშიშროების ფედერალური სამსახურის („ფსბ“) კლასიკურ ტექნოლოგიას. ყაზახეთში არეულობის კოორდინატორად ყაზახურ მედიაში დასახელდა ოპოზიციონერი მუხთარ აბლიაზოვი და გაცხადდა, თითქოს ის უკრაინაში იმყოფება.

უკრაინელი ექსპერტები აცხადებენ, რომ ყაზახი აბლიაზოვი საფრანგეთშია. იგი იყენებს უკრაინელი ოპერატორების მობილური ტელეფონების ნომრებს. აბლიაზოვმა თავის დროზე დაამთავრა მოსკოვის საინჟინრო-ფიზიკური ინსტიტუტი, რომელიც „კგბ“-ს კურატორობით უშვებდა სპეციალისტებს სამხედრო და ბირთვული პროგრამებისათვის.

ავტორების თქმით, „ფსბ“-ს დავალებების შემსრულებელი აბლიაზოვის „ოპოზიციურ“ მოწოდებებს კრემლი გამოიყენებს საბაბად უკრაინაზე თავდასხმისათვის.

უკრაინელი ექსპერტების შეფასებით, რუსეთი ყოვლისშემძლე არ არის. მას აქვს ბირთვული და ენერგეტიკული შანტაჟის ბერკეტები, მაგრამ, იმავდროულად, რუსეთის ეკონომიკა არის ნედლეულის მოწყვლადი ეკონომიკა.

დასავლურ მედიაში გავრცელდა მუქარები უზბეკეთის მიმართ. უზბეკეთმა „ოდკბ“ 2012 წელს დატოვა. ცოტა ხნის წინ ბელარუსის დიქტატორმა ლუკაშენკომ ტაშკენტს შეახსენა, რომ მეზობლად ავღანეთია და მან დასკვნები უნდა გამოიტანოს ყაზახეთის მოვლენებიდან. ლუკაშენკომ ტაშკენტი გააფრთხილა, რომ პრობლემები ელის და მოსკოვის გარეშე უზბეკეთის ხელისუფლება დაემხობა.

მეზობელ აზერბაიჯანს რუსეთი ექსპერტების პირით ემუქრება. ისინი აცხადებენ, რომ ყაზახეთში განვითარებულმა მოვლენებმა თურქეთსა და მის მოძმე აზერბაიჯანს ღირსება შეულახა. რუსეთთან ერთად „ოდკბ“-ს ძალების ყაზახეთში შეყვანის გადაწყვეტილება მიიღო სომხეთის პრემიერმა ფაშინიანმა. ამიერიდან ბაქო, რუსების სიტყვებით, ვეღარ გაბედავს პრობლემების ძალით მოგვარებას. თუ ალიევის ხელისუფლებას რამე დაემუქრება, თურქეთი ვერ უშველის. ანკარა ამაში არ ჩაერევა. რუსი ექსპერტები ბაქოს მოუწოდებენ, დაფიქრდეს, სად არიან მისი ნამდვილი მეგობრები – დასავლეთში თუ ჩრდილოეთში.

მოვლენებს აფასებენ პოლონელი მიმომხილველები. მათი აზრით, პუტინის მიერ დაწყობილი მოზაიკა გაურკვეველს ხდის ბევრი ქვეყნის მომავალს. პოლონეთისა და ბალტიისპირეთის სახელმწიფოებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნატოში ყოფნას.

არ არის გამორიცხული, რომ ნატო სხვა მხრიდანაც გაფართოვდეს. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ვიქტორია ნულანდი აცხადებს, რომ მზად არიან, განიხილონ ფინეთისა და შვედეთის (ნატოს პარტნიორების) ალიანსში გაწევრიანების განაცხადები, თუ ეს ქვეყნები სურვილს გამოხატავენ.

ფინეთმა ნატოში შესვლა არ გამორიცხა. შვედეთს ოფიციალურ დონეზე ნატოში ყოფნის სურვილი არ გამოუხატავს, თუმცა ამისკენ ხელისუფლებას მოუწოდებს შვედეთის საზოგადოება.

გიგი უგულავა: „ხელისუფლებამ არც მწვადი დაწვა და არც შამფური“

– ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ ბოლომდე ბრუტალობაზე არ წასულიყო – არც მწვადი დაწვეს და არც შამფური.

ასე შეაფასა ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა გიგი უგულავამ ხაზარაძე-ჯაფარიძე-წერეთლის საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილება.

მისი თქმით, ეს საქმე პროკურატურის მხრიდან სამართლებრივი თაღლითობა იყო.

– ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ ბოლომდე ბრუტალობაზე არ წასულიყო, რადგან საერთაშორისო თვალსაზრისით ისევე, როგორც შიგნით, კიდევ უფრო პოლარიზაციას გამოიწვევდა. თვითონ ეს საქმე პროკურატურის მხრიდან სამართლებრივი თაღლითობა იყო.

ძალიან კარგად იცოდა ყველა პროკურორმა, მათ შორის, შოთაძემაც, რომ არანაირი ფულის გათეთრება ამ საქმეში არ იყო, მაგრამ სამი წელი აწვალეს ხალხი, დახარჯეს ბიუჯეტის ფული ამ სისულელეში და დაადგინეს შუალედური – არც მწვადი დაწვეს და არც შამფური.

დაჭერა არ უნდოდათ, მაგრამ მისცა პიარს, კოლექტიურ ოხანაშვილს საკვები, რომ ილაპარაკონ, აი, ხომ ვამბობდით, ესენი დამნაშავეები არიან. კოლექტიურ ოხანაშვილს, კოლექტიურ ნინო წილოსანს მისცა პოლიტიკური საკვები. სინამდვილეში გამოვლინდა ერთადერთი რამ, რომ ივანიშვილის სამართლებრივ თაღლითობაში ჩართული არიან სასამართლო და პროკურატურა, – განაცხადა უგულავამ.

„რა დროს სააკაშვილის ეკონომიკური გეგმაა, ნატოში შესვლის შანსს დავკარგავთ“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– რა თქმა უნდა, არა. ეს გამორიცხული იყო. სწორედ ლადო ჭანტურიას დროინდელმა უზენაესმა სასამართლომ მიიღო არჩევნების გაუქმების გადაწყვეტილება. შევარდნაძის დროს ძალიან ნაკლებად ყვიროდნენ სასამართლო სისტემაზე. პოლიცია რომ არ ვარგოდა, ამაზე არ ვიდავოთ, ფანჯრებიდან ყრიდა ხალხს თარგამაძე, ხოლო სასამართლოს რაც შეეხება, ნეტა ახლა გვქონდეს ისეთი სასამართლო სისტემა. ისიც უნდა ითქვას, რომ იმდროინდელ სასამართლო რეფორმას ერთ-ერთი სათავეში ედგა მიხეილ სააკაშვილი. იქ მარტო ლადო ჭანტურია არ ყოფილა. იქ ასევე მინდია უგრეხელიძე და თედო ნინიძე იყვნენ.

– თუმცა, თავად რომ მოვიდა ხელისუფლებაში, სააკაშვილმა ეს სისტემა თავდაყირა დააყენა.

– სააკაშვილმა რაც სასამართლოს დამართა, ბუმერანგივით მიუტრიალდა უკან. მას რომ სასამართლო პატრულივით გაეკეთებინა, დღეს თვითონ პატიმრობაში არ იქნებოდა, დამიჯერეთ. დღეს არც სასამართლო სისტემა გვაქვს და არც საარჩევნო. ეს ყველამ კარგად იცის. ან რა ფონია ირგვლივ, გაიმართა მოლაპარაკება და პირდაპირ ღიად აცხადებს რუსეთი, ამერიკასა და რუსეთს შორის დამყარდება მშვიდობა იმ შემთხვევაში, თუ გაუქმდება ბუქარესტის გადაწყვეტილება. მსგავსი რამ არც მსმენია და არც მინახავს.

– ასე პირდაპირი განცხადებები არასდროს ყოფილა. რა ხდება?

– დიახ, არ ყოფილა. ან სოციალურ ქსელებში შეიხედეთ, რა ხდება, როგორი გააქტიურებული არიან რუსეთის მხარდამჭერი ძალები საქართველოში. ჩვენ ამ დროს სად ვართ? რას ვაკეთებთ? მიდის მსჯელობა, რაღაც ეკონომიკური პროგრამა დაწერა სააკაშვილმაო. რა დროს სააკაშვილი და მისი ეკონომიკური პროგრამაა. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ჩვენი ყურადღება გადატანილი იყოს მეორეხარისხოვან საკითხებზე. ეს ყველაფერი კი მიზანმიმართულად კეთდება.

– სააკაშვილი ამ დროს რა თამაშს თამაშობს, ვის ინტერესს ატარებს?

– ვერ გეტყვით, რა თამაშს თამაშობს, მაგრამ ვის უნდა მაგისი ეკონომიკური პროგრამა?! მესმის საუბრები, რომ სააკაშვილი საქართველოში სომხური ლობის შემოყვანილია.

– რა მიზნით?

– იმ მიზნით, რომ გადატანილი იყოს ყურადღება, არ ვიმსჯელოთ მთავარ საკითხებზე. ნატოში შესვლის შანსს დავკარგავთ და უკვე გასაგებია, სადაც ვართ. ისე არ მოხდეს, რომ მალე რუსეთის მეფისნაცვალი დაგვიჯდეს აქ. ამ დროს სად არის ჩვენი ხალხი? რუსეთის განცხადების შემდეგ აქ საზოგადოება ქუჩაში უნდა გამოდიოდეს და მიტინგებს მართავდეს, აფიქსირებდეს საკუთარ პოზიციას, რომ მას უნდა ნატო და ამაში რუსეთი ხელს ვერ შეუშლის. გსმენიათ ვინმესგან მსგავსი განცხადება?! ან ტელევიზიებს შეხედეთ, ან პოლიტიკოსებს, ერთი განცხადება მოგისმენიათ ამ საკითხზე?! როგორც ჩანს, დღეს ყველა ერთ თამაშს თამაშობს, პოზიციაც და ოპოზიციაც და ყველას ერთად უნდა, რომ საქართველო რუსეთის შემადგენლობაში დაბრუნდეს. უკვე ეს შთაბეჭდილება მრჩება და სხვაგვარ დასკვნას ვერ ვაკეთებ. ყველა ერთად აღებული, რუსეთის პოლიტიკის გამტარებელია საქართველოში.

ბაზარზე 170-დან მხოლოდ 40 გასართობი ცენტრი დარჩა

– არსებობს მოლოდინი, რომ, საბავშვო გასართობ ცენტრ „მინიონების“ მსგავსად, სხვა ცენტრებიც დაიხურება.

ამის შესახებ „ბიზნესპრესინიუსთან“ გასართობი ცენტრების ასოციაციის ხელმძღვანელმა გიორგი მთიულიშვილმა განაცხადა.

მთიულიშვილი ამბობს, რომ გაუარესებული ეპიდვითარების ფონზე, სექტორი უკვე დიდი ხანია, რთულ მდგომარეობაშია, ამიტომ, შესაძლოა, ბაზარზე დარჩენილი სხვა ცენტრებიც დაიხუროს.

– საბავშვო გასართობი ცენტრი „მინიონები“ და სხვა ბევრი ცენტრი უკვე დაიხურა. 170-დან ბაზარზე მხოლოდ 40 გასართობი ცენტრი დარჩა. ეს, პირველ რიგში, პანდემიითა გამოწვეული, შემდეგ კი – პერსონალის წასვლით. შესაბამისად, მოლოდინი არსებობს, რომ ცენტრები კიდევ დაიხურება, – განაცხადა მთიულიშვილმა.

გასართობი ცენტრების ასოციაციის ხელმძღვანელი აღნიშნავს, რომ მისი პროგნოზი მწვანე კოვიდპასპორტებთან დაკავშირებით გამართლდა და რეგულაციამ სექტორი კიდევ უფრო დააზარალა.

– ის პროგნოზი, რომელიც გვქონდა „მწვანე პასპორტებთან“ დაკავშირებით, გამართლდა და ამან ძალიან დიდი დარტყმა მიაყენა ჩვენს ბიზნესს. ხვალინდელი დღის იმედი აღარ გვაქვს.

რეალურად ამ რეგულაციამ მოთხოვნა ძალიან შეამცირა, მშობლების დიდ ნაწილს კოვიდ-ბარათები არ აქვს, შესაბამისად, ბავშვები არ მოჰყავთ ცენტრში.

როცა ქვეყანაში 30% აცრილია, ამ დროს მსგავსი რეგულაციის დაწესება არასწორი ნაბიჯი იყო, – ამბობს მთიულიშვილი.

მოსამართლე არევაძემ ხაზარაძეს, ჯაფარიძესა და წერეთელს 7-7 წელი მიუსაჯა

მუხლის ხანდაზმულობის გამო მათ არ დაიჭერენ

გუშინ, 12 იანვარს, მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე და ავთანდილ წერეთელი სასამართლომ დამნაშავედ ცნო, თუმცა მოსამართლემ სამივე მათგანს მუხლის კვალიფიკაცია შეუცვალა და ისინი ჯგუფურ თაღლითობაში ცნო დამნაშავედ. თითოეულ მათგანს თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 7 წლის ვადით, თუმცა, მუხლის ხანდაზმულობის გამო, ისინი დანიშნული სასჯელისგან გათავისუფლდნენ.

მოსამართლე გიორგი არევაძის გადაწყვეტილებით, მათ განესაზღვრათ გირაო და აეკრძალათ საქართველოს საზღვრის გადაკვეთა.

ამასთან, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბრალდებულების მიმართ შეფარდებული გირაო გაუქმდა, გაუქმდა დადებული ყადაღებიც.

როგორც სასამართლომ განმარტა, მოწმეთა ჩვენებებითა და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურებულად იქნა მიჩნეული ბრალდებულთა მხრიდან დანაშაულის ჩადენა.

„2022 წლის 12 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა არსებითი განხილვის კოლეგიამ დაასრულა სს საქმის განხილვა ბრალდებულების: მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და ავთანდილ წერეთელის მიმართ. მოწმეთა ჩვენებებითა და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურებულად მიიჩნია ბრალდებულთა მხრიდან დანაშაულის ჩადენა. სასამართლომ ბრალდებულების მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა და სამივე ბრალდებული დამნაშავედ ცნო სს „თიბისი ბანკის“ კუთვნილი 16.664.000 აშშ დოლარის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბრალდებულების მიმართ წარდგენილი ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ჩადენილი ჯგუფურად, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში დახმარება) გადაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე (თაღლითობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და დიდი ოდენობით).

სასამართლომ ბრალდებულებს სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სს საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის გამო, ბრალდებულები გათავისუფლდნენ დანიშნული სასჯელის მოხდისგან“, – ნათქვამია სასამართლოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

* * *

– გადაწყვეტილებას 1 თვის ვადაში ჩვენ აუცილებლად გავასაჩივრებთ სააპელაციო სასამართლოში.

ამის შესახებ ავთანდილ წერეთლის ადვოკატმა კახა წერეთელმა მოსამართლის მიერ ვერდიქტის გამოცხადების შემდეგ განაცხადა.

წერეთლის თქმით, ეს გადაწყვეტილება არ არის სამართლიანი.

– აქ რაღაც გამოსავალი ნახეს იმ კუთხით, რომ „თაღლითობა კი არის, მაგრამ ვათავისუფლებთ სასჯელისგან“. სამართალი არ უნდა ეძებდეს გამოსავალს, სამართალი უნდა იყოს სამართლიანი და სამართლიანი იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ გამამართლებელი განაჩენი.

რთულია მოსამართლის განმარტებიდან დასაბუთების გაკეთება. ჩვენ ჩაგვბარდება 2 კვირაში უკვე დასაბუთებული გადაწყვეტილება, სადაც იქნება მსჯელობა და ვფიქრობ, რომ იქ ვერ ვნახავთ ისეთ არგუმენტებს, რომლებიც გაამყარებს თაღლითობის არსებობას. ვინაიდან ის ქმედება, რომელსაც პროკურატურა ედავება ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფებს, მათ შორის ავთანდილ წერეთელს, ნამდვილად არ დასტურდება. ეს არ დასტურდება არც გამოძიების დროს მოპოვებული მტკიცებულებებით და არც იმ მტკიცებულებებით, რაც ყველამ ფაქტობრივად საჯაროდ მოვისმინეთ სასამართლო დარბაზში, – განაცხადა კახა წერეთელმა.

მისივე თქმით, ბევრი ვარიანტი და შესაძლებლობა იყო, მაგრამ ერთადერთი სწორი გამოსავალი იყო გამართლება.

– ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფების ქმედება არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს. თაღლითობა ტყუილის გარეშე არ არსებობს და მათ არავინ მოუტყუებიათ. ყველა ოპერაციას ჰქონდა თავისი რეალური სახელი. საქმეში დაზარალებული და მოტყუებული ბანკი არ არსებობს, შესაბამისად, კითხვის ნიშნები არ არის. სასამართლომ ის თქვა, რომ საქმე რეალურად შეიცავს თაღლითობის ნიშნებს, თუმცა ხანდაზმულობის გამო სასჯელს ვერ გამოიყენებენ, რასაც, რა თქმა უნდა, არ ვეთანხმებით, – აღნიშნა კახა წერეთელმა.

კომენტარი პროკურორმა არჩილ ტყეშელაშვილმაც გააკეთა.

– სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი და სამივე ბრალდებული საკმაოდ მძიმე დანაშაულში ცნო დამნაშავედ, – განაცხადა მან.

პროკურორი არ გამორიცხავს, რომ ბრალდების მხარემ აღნიშნული გადაწყვეტილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გაასაჩივროს. მისი განმარტებით, გასაჩივრების შესახებ

გადაწყვეტილებას მას შემდეგ მიიღებენ, რაც სასამართლოსგან განაჩენის სრულყოფილი დასაბუთება ჩაჰბარდებათ.

– სასამართლომ სრულიად გაიზიარა ბრალდების მხარის მტკიცებულებები, რომელიც ჩვენ გვქონდა წარმოდგენილი და ვადასტურებდით ბრალდებულების ბრალეულობას. სამივე ბრალდებული ცნობილია დამნაშავედ ჯგუფურად თაღლითობის ჩადენაში, სასამართლომ სხვა კვალიფიკაცია მისცა ჩვენ მიერ წარდგენილ ბრალდებას, გავეცნობით განაჩენს და ამის შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას გასაჩივრების ნაწილში. ჩვენი მტკიცებულებები რომ საკმარისი იყო ბრალდებულების გამამტყუნებისთვის ეს დადასტურდა, სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი და სამივე ბრალდებული საკმაოდ მძიმე დანაშაულში ცნო დამნაშავედ, – აღნიშნა არჩილ ტყეშელაშვილმა.

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ პროკურატურა განაჩენს გაასაჩივრებს.

„ბრალდების მხარე სასამართლოს გადაწყვეტილებას კანონით დადგენილ ვადაში სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს“, – ნათქვამია გენერალური პროკურატურის გადაწყვეტილებაში.

მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს ბრალი წარდგენილი ჰქონდათ ჯგუფურად 16.664.000 ამერიკული დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით). მათ ბრალი 2019 წლის 24 ივლისს წარედგინათ.

ავთანდილ წერეთელს პროკურატურა ბადრი ჯაფარიძისა და მამუკა ხაზარაძისთვის უკანონო შემოსავლების ლეგალიზებაში დახმარებას ედავებოდა.

სასამართლომ სააკაშვილის საქმეზე იუსტიციის სამინისტრო გაამართლა

ინსპექტორის სამსახური გასაჩივრებას აპირებს

თბილისის საქალაქო სასამართლო მიხეილ სააკაშვილის საქმეზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გადაწყვეტილების გაუქმებასა და იუსტიციის სამინისტროს გამართლებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

სასამართლო ინსპექტორის სამსახურს მიზანმიმართულად არასწორი ინფორმაციის გავრცელებასა და საზოგადოების შეცდომაში შეყვანაში ადანაშაულებს.

უწყების მტკიცებით, საქმე კანონმდებლობით დადგენილი ვადების ფარგლებში განიხილეს.

„სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის განცხადება და სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია მიხეილ სააკაშვილის კვების რაციონისა და აუდიოვიდეო ჩანაწერების გასაჯაროების შესახებ ემსახურებოდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ლეგიტიმურ მიზანს; შესაბამისად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევა არ დადგინდა.

სამწუხაროა, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური მიზანმიმართულად არასწორი ინფორმაციის გავრცელებით ცდილობს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი ბრალდებებით, კერძოდ: მსგავსი კატეგორიის საქმეებზე, სხვა საქმეებისაგან განსხვავებით, კანონმდებლობით შემჭიდროებული ვადაა განსაზღვრული – ერთი თვე; საჩივარი სასამართლოში წარმოდგენილ იქნა 2021 წლის 17 დეკემბერს, ხოლო საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებულია 2022 წლის 11 იანვარს; ამდენად, საქმე განხილულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი ვადის ფარგლებში.

ვინაიდან სამართალდარღვევის ოქმები შედგენილი იყო ორი სხვადასხვა დაწესებულების მიმართ რამდენიმე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამართალდარღვევის ჩადენის ბრალდებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეთა გაერთიანება შეაფერხებდა სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლო მოუწოდებს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურსა და ყველა დაინტერესებულ მხარეს, გაავრცელონ რეალურ ფაქტებზე დაფუძნებული და მოქმედი კანონმდებლობის სწორი განმარტების შესაბამისი ინფორმაცია/მოსაზრებები“, – წერია განცხადებაში.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას გეგმავს.

უწყებაში ამბობენ, რომ ახლა მთავარია, სასამართლომ მათ დასაბუთებული გადაწყვეტილება პირველ მარტამდე ჩააბაროს, რადგან, „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური სწორედ პირველი მარტიდან უქმდება.

– საქალაქო სასამართლომ სრულად დაკმაყოფილა იუსტიციის სამინისტროს მოთხოვნა და სრულად გააუქმა სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილება იუსტიციის სამინისტროს სამართალდამრღვევად ცნობის ნაწილში. ჩვენ სრულად ვართ დარწმუნებული ჩვენი გადაწყვეტილების დასაბუთებაში ის ემყარებოდა საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას და ადგილობრივ კანონმდებლობას, არაერთ პრეცედენტულ გადაწყვეტილებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსი, ამიტომ ასეთი გადაწყვეტილების მოლოდინი, ბუნებრივია, არ გვქონდა.

იმედია, სასამართლო ასევე დაჩქარებულ ვადებში მოამზადებს ამ დოკუმენტს და ჩაგვაბარებს. ჩვენ ვგეგმავთ, რომ ზემდგომ ინსტანციაშიც გავასაჩივროთ ეს გადაწყვეტილება, – თქვა ინსპექტორის ხელმძღვანელის მოადგილე სალომე ბალხოსიანმა.

ბათუმში კორპუსის ჩამონგრევისთვის დაკავებული მუშების ახლობლებმა მათი გათავისუფლება მოითხოვეს

გუშინ, 12 იანვარს, ბათუმის საქალაქო სასამართლოსთან აქცია გამართეს იმ მუშების ახლობლებმა, რომლებიც 8 ოქტომბერს ბათუმში სადარბაზოს ჩამონგრევის ფაქტზე დააკავეს.

დაკავებულები არიან მამა-შვილი ხუსეინ და გიორგი სურმანიძეები. დაკავებულების ოჯახის წევრების თქმით, დაღუპულების ახლობლებს, რომლებიც ასევე სასამართლოსთან იყვნენ, სამძიმარი გამოუცხადეს.

გუშინ ამ საქმეზე პირველი სასამართლო სხდომა გაიმართა – სურმანიძეების ადვოკატის, მზია დიასამიძის თქმით, დაკავებულების ოჯახი გიროს სახით 5-5 ათასი ლარის გადახდას სთავაზობს სახელმწიფოს.

დაღუპულების ოჯახის წევრებმა კი ჟურნალისტებს უთხრეს, რომ ყველა დამნაშავე უნდა დაისაჯოს.

ბრალდებული სურმანიძეების ახლობლები ამბობენ, რომ ექსპერტიზა ფაქტობრივად გამორიცხავს მათ დანაშაულს.

სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით, ნგრევა გამოიწვია პირველი სართულის მზიდი კედლების მოშლამ.

ამონარიდები სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნიდან:

„ბათუმში, 26 მაისის ქუჩის №13-ში მდებარე შენობის პირველი სადარბაზოს ნაწილის ჩამონგრევა გამოწვეულია არასათანადოდ და უსაფრთხოების წესების დარღვევით წარმოებული სარეკონსტრუქციო სამუშაოებით. კერძოდ მზიდი კედლის დემონტაჟით პირველ სართულზე. რაც შეეხება აღნიშნულზე პასუხისმგებელ პირს, აღნიშნულ კითხვაზე პასუხი გაცემულია „თ“ პუნქტში“.

„თ“ პუნქტი: „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია იზრუნოს, რომ დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას ზიანი არ მიადგეს“.

„ბათუმში, 26 მაისის ქუჩის №13-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოზე ეზოს მხრიდან დამონტაჟებული ლიფტი და მისი ფუნქციონირება არ არის კავშირში შენობის სადარბაზოს ნგრევასთან“.

„დაშენება სადარბაზოს ნგრევაზე გავლენას არ მოახდენდა და სადარბაზო ჩამონგრევის მიზეზს არ წარმოადგენს“.

სადარბაზოების ნგრევის საქმეზე სულ სამი პირია დაკავებული – მამა-შვილი სურმანიძეები და ბინის მფლობელი ზაურ ბუდაგოვი.

ბრალის დადასტურების შემთხვევაში მამა-შვილ სურმანიძეებს 3-დან 5 წლამდე პატიმრობა ელით, ზაურ ბუდაგოვს კი – 5 წლამდე პატიმრობა.

ბათუმში, 26 მაისის ქუჩაზე, 6-სართულიანი სახლის სადარბაზო 8 ოქტომბერს მოულოდნელად ჩამოინგრა.

სააკაშვილი: „13-ში სასამართლოზე მივალ“

– ძალიან კარგია, რომ რეჟიმმა ვერ გარისკა თითიდან გამოწოვილი საქმით მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და ავთო წერეთლის დაპატიმრება – რა თქმა უნდა, მათ გამოიტანეს სრულიად ფეიკ განაჩენი.

ასე აფასებს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჯაფარიძე-ხაზარაძე-წერეთლის საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, 13 იანვარს ის საკუთარ სასამართლო პროცესს დაესწრება და თავის სათქმელს იტყვის.

„როგორც ყოველთვის, მე მომეწონა, როგორ ღირსეულად ეჭირათ მთელი ეს დრო თავი „განსასჯელებს“ და ასევე ვატო წერეთელს. ერთი წუთით არ დასტყობიათ შიში და ყოყმანი.

მას შემდეგ, რაც ჩემს საკითხზე გამოტანილი ობიექტური გადაწყვეტილების შემდეგ გააუქმეს კანონით სახელმწიფო ინსპექტორის ოფისი, საქალაქო „სასამართლომ“ გააუქმა ასევე მათი გადაწყვეტილება ჩემს საქმეზე. „მელამ საკუთარი კუდი დაიმოწმაო“ – ასეა ზუსტად ამ „მთავრობისა“ და მისი სასამართლოს საქმე.

მე მივალ „სასამართლოზე“ და ვიტყვი ჩემს სათქმელს.

შევხვდებით 13-ში, 13:00 საათზე“, – აღნიშნავს მიხეილ სააკაშვილი.

ლაგოდეხში, აზერბაიჯანის საზღვართან, თორნიკე კუსიანი დააკავეს

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიაურში, საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო ზოლთან, მოქალაქემ მესაზღვრე პოლიციელს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

დაპირისპირების მიზეზად მესაზღვრის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა სახელდება.

მესაზღვრე-პოლიციელმა გიორგი ტაბატაძემ სასაზღვრო ზოლთან, იქ, სადაც გადაადგილება მხოლოდ საშვითაა დაშვებული, მოქალაქე თორნიკე კუსიანს გადაადგილების გასაგრძელებლად საშვის წარდგენა მოსთხოვა, როდესაც კუსიანმა მას ჯერ სიტყვიერი, ხოლო შემდეგ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

კუსიანი დააკავეს და ლაგოდეხის პოლიციაში გამოკითხვაზე გადაიყვანეს.

მომხდარზე გამოძიება 353-ე მუხლით დაიწყო, რაც ხელისუფლების წარმომადგენლის მიმართ ძალადობასა და მუქარას გულისხმობს და სასჯელის სახედ 4-დან 7 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

რუსეთმა უკრაინის საზღვართან სამხედრო წვრთნები დაიწყო

რუსმა სამხედროებმა უკრაინის საზღვართან მდებარე რეგიონებში წვრთნები დაიწყეს.

წვრთნები ვორონეჟის, ბელგოროდის, ბრიანსკისა და სმოლენსკის ოლქებში მიმდინარეობს და მათში 3.000-მდე ჯარისკაცი და 300-მდე სამხედრო ტექნიკა მონაწილეობს.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, წვრთნების დროს აქცენტი საკონტროლო სროლებზე, სამხედრო მსვლელობის ორგანიზებასა და საყრდენი პუნქტების აღჭურვაზე გაკეთდება.

ბორის ჯონსონმა ბოდიში მოიხადა

„2020 წლის 20 მაისს რეგულაცია დავარღვიე“

გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი პანდემიის დროს წვეულებაზე დასწრების გამო საზოგადოებას ბოდიშს უხდის.

ბრიტანეთის პარლამენტში სიტყვით გამოსვლის დროს ჯონსონმა აღიარა, რომ რეგულაციები დაარღვია და 2020 წლის 20 მაისს მასობრივ შეკრებაზე იმყოფებოდა.

მისი თქმით, პრემიერმა შეკრებაზე, რომელიც ბაღში გაიმართა, 25 წუთი გაატარა.

– მესმის, რას გრძნობს ხალხი ახლა, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები არღვევენ იმ რეგულაციებს, რომლებიც თავად დააწესეს. მე მაშინ რამდენიმე ადამიანს შევხვდი და მეგონა, რომ ეს საქმიანი შეხვედრა იყო. ეს დაახლოებით 6 საათზე მოხდა, როდესაც ჩემს კოლეგებს ბაღში შევხვდი. მე თავიდან უნდა ამერიდებინა მასშტაბური შეკრება და მომეწოდებინა მათთვის, შენობაში შესულიყვნენ, – განაცხადა ჯონსონმა.

გერმანიაში ინფიცირების რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა

გერმანიაში ყოველდღიური ინფიცირების რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა. ქვეყანაში ერთ დღეში კორონავირუსით 80.430 ადამიანი დაინფიცირდა.

დღიური მაქსიმუმი ბოლოს 26 ნოემბერს დაფიქსირდა, როცა შემთხვევების რაოდენობამ 76.000-ს გადააჭარბა.

ქვეყანაში ამ დროისთვის 7.661.811 ადამიანს აქვს კორონავირუსი დადასტურებული.

გარდაცვლილია 114.735 ადამიანი.

რობერტ კოხის ინსტიტუტის მონაცემებით, მოსახლეობის დაახლოებით 75%, სულ მცირე, ვაქცინის ერთი დოზით მაინც არის აცრილი.

კიმ ჩენ ინი ჰიპერბგერითი რაკეტის გამოცდას დაესწრო

ჩრდილოეთ კორეის ლიდერი კიმ ჩენ ინი ჰიპერბგერითი რაკეტის გამოცდას დაესწრო და მეცნიერებს ქვეყნის სტრატეგიული სამხედრო ძალის გაძლიერებაზე ზრუნვისკენ მოუწოდა.

– კიდევ უფრო დააჩქარეთ მცდელობები ქვეყნის სტრატეგიული სამხედრო კუნთების სტაბილურად გასაძლიერებლად როგორც ხარისხის, ასევე რაოდენობის კუთხით და ასევე მცდელობები არმიის შემდგომი მოდერნიზაციისთვის, – განაცხადა ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა.

ჩრდილოეთ კორეაში აცხადებენ, რომ 11 იანვარს გაშვებულმა ჰიპერბგერითმა რაკეტამ 1000 კმ-ის დაშორებით მდებარე სამიზნეს ზუსტად დაარტყა.

ჰიპერბგერითი რაკეტა მანამდე, 5 იანვარსაც, გამოცადეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ფუტსალის ნაკრებმა ბოლო შეკრება დაიწყო

საქართველოს ფუტსალის ნაკრები 2022 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება და ბოლო ამხანაგურ მატჩებს თბილისში გამართავს.

ავთანდილ ასათიანის გუნდი ტაჯიკეთის ნაკრებთან ორ მატჩს 15 და 16 იანვარს თბილისის სპორტის სასახლეში ჩაატარებს.

ქვეყანაში არსებული კოვიდრეგულაციების გათვალისწინებით თამაშებზე დარბაზის ტევადობის 33 პროცენტის შესაბამისი გულშემატკივართა რაოდენობა დაიშვება. მატჩებზე დასწრების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ვაქცინაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, ან 72-საათიანი ვალიდურობის პისიარ ტესტი, ან 24– საათიანი ვალიდურობის ანტიგენ ტესტის უარყოფითი პასუხი, ან კორონავირუსის გადატანის დამადასტურებელი ცნობა. დასწრება თავისუფალია.

საქართველოს ნაკრებმა საწვრთნელი შეკრება 11 იანვარს დაიწყო. 19 იანვარს კი, ნიდერლანდებში გაემგზავრება და ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას ადგილზე გააგრძელებს. ჯგუფურ ეტაპზე ასათიანის გუნდი აზერბაიჯანს, ბოსნია-ჰერცეგოვინასა და ესპანეთს დაუპირისპირდება. მატჩები 22, 26 და 29 იანვარსაა დაგეგმილი.

საწვრთნელ შეკრებაზე ასათიანის განკარგულებაში არიან:

მეკარეები: ზვიად კუპატაძე (იუგრა, რუსეთი), ალექსანდრე ჯამბურია (თელასი), თორნიკე ბუკია (კემი, ფინეთი);

წინა ხაზი: შაგინია (მალიორკა, ესპანეთი), ელისანდრო (ბრაგა, პორტუგალია), ბრუნო პეტრი ბრანკო (ხაენი, ესპანეთი), თალეს ფეიტოსა (კანდოსო, პორტუგალია), რონინიო (ჰალე-გოოიკი, ბელგია), ვილიანი (იუგრა, რუსეთი), არჩილ სებისკვერაძე (გომელი, ბელარუსი), გიორგი ღავთაძე (სიბირიაკი, რუსეთი), ვახტანგ კეკელია (სიპარი, ტაჯიკეთი), ირაკლი თოდუა, შოთა თოფურია ვახტანგ ჯვარაშვილი, ნუკრი ჭუმბურიძე (ყველა თელასი), ნიკოლოზ კურტანიძე (პსპ).

ჯოკოვიჩის ახალი შარი



34 წლის სერბი ჩოგბურთელის ნოვაკ ჯოკოვიჩის ირგვლივ ატეხილ აურზაურზე ახალი დეტალები იკვეთება, რაც სპორტსმენისთვის კარგი არ უნდა იყოს.

შეგახსენებთ, ჯოკოვიჩმა 10 იანვარს ავსტრალიის ხელისუფლების წინააღმდეგ გამართული სასამართლო მოიგო და ქვეყანაში დარჩენის უფლება მისცეს. თუმცა, ახლა ყველა ავსტრალიის ემიგრაციის მინისტრის გადაწყვეტილებას ელის, რომელსაც სერბი ჩოგბურთელისთვის ვიზის გაუქმების მოთხოვნა შეუძლია.

ჯოკოვიჩის საქმეს ის ართულებს, რომ მის კოვიდ-ტესტის თარიღში გერმანელმა ჟურნალისტებმა ეჭვი შეიტანეს, რასაც თავად ჯოკოვიჩი არ ადასტურებს, მაგრამ, ამავე დროს, არ იცავდა რეგულაციის წესებს, რაც უფრო რთულად ხდის საქმეს.

ჯოკოვიჩმა ინსტაგრამზე ვრცელი ტექსტი გამოაქვეყნა.

– 14 დეკემბერს ბელგრადში კალათბურთის თამაშზე ვიყავი. წინა დღეს ანტიგენის ტესტი გავიკეთე, რომლის პასუხი უარყოფითი იყო, მაგრამ დაზღვევის მიზნით პისიარ-ტესტიც ჩავიტარე. სიმპტომები არ მქონდა და თავს კარგად ვგრძნობდი. დადებითი პასუხი კი მხოლოდ ამ ღონისძიების შემდეგ მივიღე.

მომდევნო დღეს ფრანგულ გამოცემას დიდი ხნის წინ შეთანხმებული ინტერვიუ მივეცი. მიუხედავად იმისა, რომ ინტერვიუს შემდეგ სახლში ვიყავი და, დადგენილი წესების მიხედვით, იზოლაციაში გადავედი, კარგად დაფიქრების შემდეგ მივხვდი, რომ შეცდომა დავუშვი და ვაღიარებ, რომ ეს ვალდებულება უნდა გადამედო.

ჯოკოვიჩის კიდევ ერთი შეცდომა ის იყო, რომ ავსტრალიაში გამგზავრების წინ პროტოკოლი შეავსო, სადაც ჩაწერა, რომ ბოლო 14 დღეს, სერბეთის გარდა, არც ერთ ქვეყანაში არ იყო ნამყოფი. ნოლემ ესეც იცრუა, მაგრამ ახლა აცხადებს, რომ ეს განგებ არ გაუკეთებია და მექანიკური, ადამიანური შეცდომა დაუშვა.

მსოფლიოს პირველ ჩოგანს, დიდი სლემის ტურნირების 20-გზის გამარჯვებულს, სერბეთში ანტიკოვიდური წესების დარღვევის გამო 3 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

მოკლედ, ჯოკოვიჩი მაგარ შარშია...

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

მომავალი ქორწილის გადასარჩენად საპატარძლომ კოვიდ-19-ით დაინფიცირება ცადა

ავსტრალიის ქალაქ მელბურნში საპატარძლო შეეცადა, კოვიდ-19-ით დაინფიცირებულიყო, რათა ის ქორწილამდე გადაეტანა და ამით თავიდან აეცილებინა ცერემონიის თარიღის გადადება.

გოგონას თქმით, ის თებერვალში თხოვდება. ერთადერთი, რამაც შეიძლება, ამ დღესასწაულს ხელი შეუშალოს, ქორწილის წინ კორონავირუსით დაინფიცირება იქნება. იმისთვის, რომ საზეიმო ღონისძიება არ გადადებულიყო, ავსტრალიელმა ჩათვალა, რომ კოვიდ-19-ით ადრე უნდა დაინფიცირებულიყო და შემდეგ ქორწილის თარიღამდე გამოჯანმრთელება მოესწრო.

საკუთარი გეგმის განსახორციელებლად გოგონამ გადაწყვიტა, ბარში წასულიყო, სადაც უცნობ პირებს ეწვეოდა და სასმელებს სხვისი ჭიქებიდან სვამდა.

ეპიდემიოლოგმა კეტრინ ბენეტმა გოგონას ურჩია, პირიქით მოქცეულიყო, თავი აერიდებინა ადამიანების თავშეყრის ადგილებისთვის და საკუთარი თავი საფრთხეში არ ჩაეგდო. ექიმმა მას ვაქცინით აცრა ურჩია, რათა დაინფიცირების შემთხვევაში დაავადება მსუბუქ ფორმებში გადაიტანოს.

მდინარეში ნაპოვნი თავის ქალა, რომლის გამოც გამოძიება დაიწყო, 1400 წლის აღმოჩნდა

ინგლისის დორსეტის საგრაფოს სოფელ სტერმინსტერ-მარშალში პოლიციელებმა გამომძიებლები მას შემდეგ გაგზავნეს, რაც მოზარდმა განძისმაძიებელმა მდინარეში ადამიანის თავის ქალა იპოვა და გამოძიება დაიწყო, თუმცა აღმოჩნდა, რომ ნაპოვნი თავის ქალა 1400 წლის წინ დაღუპულ ადამიანს ეკუთვნოდა.

15 წლის ტომ რიდმა თავის ქალა იმ დროს იპოვა, როდესაც მდინარე სტაურზე გადადიოდა. თავდაპირველად იფიქრა, რომ ფეხსაცმელს მიაგნო, მაგრამ შემდეგ დააკვირდა და გაარკვია, რომ ის ადამიანის თავის ქალის წინა ნაწილის ფრაგმენტი იყო. მოზარდმა ამის შესახებ დედას უამბო, რომელიც გაოგნდა, მან კი, თავის მხრივ, საქმის კურსში სამართალდამცავები ჩააყენა.

ადგილზე მივიდა პოლიცია, რომელიც ორი კვირის განმავლობაში აწარმოებდა გამოძიებას და მდინარეში სამძებრო სამუშაოებს მყვინთავების ჩართულობით. ამის შემდეგ თავის ქალა ექსპერტიზაზე იქნა გადაგზავნილი. საგულდაგულო კვლევის შედეგად კი გაირკვა, რომ თავის ქალა ადრეულ ინგლისურ-საქსონიურ პერიოდს განეკუთვნებოდა, ჩვენი წელთაღრიცხვის 450 და 600 წლებს.

საბოლოოდ პოლიციამ ნაპოვნი თავის ქალა წარსულის ობიექტებს მიაკუთვნა და გამოძიების გაგრძელებაზე უარი განაცხადა. ნაპოვნი თავის ქალა ქალაქ დორჩესტერის დორსეტის მუზეუმში იქნება გამოფენილი.

მამაკაცმა გაცნობის უჩვეულო ხერხს მიაგნო და პაემანზე უამრავი მიწვევა მიიღო

ლონდონის მკვიდრმა გოგონების გაცნობის უჩვეულო ხერხს მიაგნო, რომლის დახმარებითაც თავიდან აიცილებს ანგარებიან ქორწინებას და შედეგად პაემანზე 100 მიპატიჟება მიიღო.

29 წლის მუჰამედ მალიკმა საკუთარი ფოტოსურათი ბილბორდებზე განათავსა ბირმინჰემში, მანჩესტერსა და ლონდონში. ის ითხოვს, გადაარჩინონ ანგარებიან ქორწინებას და მასთან დასაკავშირებელი კონტაქტებიც განათავსა.

ახალგაზრდა მამაკაცი მეგობრების მხარდაჭერით სარგებლობს, რომლებიც მას მრავალრიცხოვანი გამოხმაურების გაფილტვრასა და დახარისხებაში ეხმარებიან. ამ დროისთვის მალიკმა ქალებისგან 100-ზე მეტი პაემანზე მიწვევა მიიღო.

– მე შემოქმედებითი ადამიანი ვარ და მომწონს სრულიად შემთხვევითი და აბსურდული რამეების კეთება, – აღნიშნა მამაკაცმა, რომელმაც იქვე განმარტა, რომ მისი ქმედების მიზანი ნამდვილი სიყვარულის პოვნაა. მალიკის თქმით, ის მზადაა ნებისმიერი ეროვნებისა და აღმსარებლობის წარმომადგენელთან ურთიერთობისთვის, თუმცა, ამავე დროს, მიიჩნევს, რომ მისთვის იდეალური პარტნიორი 20 წლის მუსლიმი გოგონა იქნებოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ქალმა დათვს მუშტები დაუშინა და ცოცხალი გადარჩა

ამერიკის ნიუჯერსის შტატის მცხოვრები ქალი 135-კილოგრამიან დათვს შეებრძოლა და ცოცხალი გადარჩა.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც 81 წლის კეროლ ნეიბორმა თავისი ქალიშვილის ძაღლი და თავისი 14 წლის სპანიელი ამანდა ქუჩაში გამოუშვა. შინაური ცხოველები მაშინვე გაქანდნენ ორი დათვისკენ, რომლებიც იქვე ახლოს ნაგვის კონტეინერში იქექებოდნენ. ერთმა მტაცებელმა გაცლა ამჯობინა, მაგრამ მეორე ადგილზე დარჩა.

პენსიონერი ქალი თავისი ძაღლების დასახმარებლად გაქანდა და დათვს მუშტები დაუშინა. პასუხად გარეულმა ცხოველმა ქალი მიწაზე დააგდო და ფეხზე უკბინა. ამის შემდეგ კი ამანდას პირი სტაცა და გაიქცა. ნეიბორი თვლის, რომ სპანიელმა ის საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა.

– მე ცოცხალი გადავრჩი, იმიტომ, რომ მან ჩემი ძაღლი გაიტაცა, – ამტკიცებს პენსიონერი ქალბატონი, – ასე რომ არ მომხდარიყო, ის მე მომიღებდა ბოლოს.

დათვის მიერ გატაცებული ძაღლი ტყეში იპოვეს, თუმცა მისი გადარჩენა უკვე შეუძლებელი იყო. ამ ინციდენტის შედეგად მეორე ძაღლი არ დაშავებულა. მტაცებელთან დაპირისპირების შედეგად ქალს სამედიცინო დახმარების აღმოჩენა დასჭირდა. მას ფეხზე ნაკერები დაადეს.

მაჩვმა ძველი მონეტების განძი ამოთხარა

მშიერმა მაჩვმა მიაგნო ძველი მონეტების ყველაზე მსხვილ განძს, მათ შორის, რომელიც კი ოდესმე აღმოუჩენიათ ჩრდილოეთ ესპანეთის გამოქვაბულებში.

ჩვენი წელთაღრიცხვის III-V საუკუნეების 209 მონეტა აღმოჩენილი იქნა ესპანეთის ასტურიის პროვინციის გრადოს მუნიციპალიტეტში. ზოგიერთი მათგანი კონსტანტინოპოლსა და თესალონიკში იქნა მოჭრილი. ყველაზე მსხვილი მონეტა რვა გრამს იწონის და ოთხ პროცენტ ვერცხლს შეიცავს. დიდი ალბათობით ის ლონდონშია მოჭრილი.

განძს მაჩვის სოროსთან მიაგნეს. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ იანვარში „ფილომენას“ ქარიშხლის დროს, ძლიერი თოვის გამო, სოროს ბინადარი იძულებული გახდა საკვების ძებნაში მიწაში გაჩენილი ნაპრალი გაეთხარა. მაჩვს იმედი ჰქონდა, რომ რაიმე სასუსნავს მიაგნებდა, თუმცა, მათ ნაცვლად, ძველ მონეტებს გადააწყდა.

განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

ლევან კორღალიძე: „5-6 გუნდი მაღალი აღგილებისთვის იბრძოლებს“

დედაქალაქური საბურთალო ახალი, 2022 წლის სეზონისთვის მზადებას შეუდგა – ლევან კორღალიძის ხელმძღვანელობით გუნდმა დიღმის ოლიმპიურ კომპლექსში ივარჯიშა. საბურთალო თბილისში 2 კვირის განმავლობაში მოემზადება, ხოლო შემდეგ გეზს თურქეთისკენ აიღებს.

თურქეთში გამგზავრებამდე საბურთალო 3 ამხანაგურ მატჩს გამართავს: 19 იანვარს შევარდენს გაეჯიბრება, 22-ში თბილისი სიტის შეხვდება, ხოლო 27 იანვარს ბოლნისის სიონთან მოსინჯავს ძალებს.

გასულ წელს საბურთალოს ახალგაზრდა სპეციალისტმა ლევან კორღალიძემ მწვრთნელის რანგში პირველი ჯილდო მოიგო, თუმცა ამაზე გაჩერებას არ აპირებს და მომავალშიც ეცდება სხვადასხვა ტიტულის მოგებას. სასიამოვნოა ის ფაქტიც, რომ 41 წლის მწვრთნელი და საბურთალო მომავალშიც ითანამშრომლებენ. განვლილ წელსა და სამომავლო გეგმებზე თავად მთავარი მწვრთნელი საუბრობს.

– თავდაპირველად თქვენსა და კლუბის ურთიერთობაზე ვთქვათ – რა ვადით გადაწყვიტეთ თანამშრომლობა?

– ჩვენი თანამშრომლობა გრძელვადიანია, ორივე მხრიდან იყო მზაობა, რომ ერთობლივი მუშაობა გაგვეგრძელებინა. დავისახეთ ახალი მიზნები, რომლებსაც, ვფიქრობ, ერთობლივი ძალებით განვახორციელებთ. წლევანდელი წელი უკეთესი უნდა იყოს განვლილზე. რომ გადავხედოთ გასულ წლებს, ვნახავთ, რომ საბურთალო ყოველთვის მაღალ პოზიციებზე მებრძოლი და სტაბილური კლუბია. გუნდს გააჩნია თავისი აკადემია, რომლისგანაც შევსებას სისტემატურად იღებს. არც წლევანდელი წელი იქნება გამონაკლისი და ტრადიციულად, მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ.

კლუბის ხელმძღვანელებისგან დიდ ნდობასა და მხარდაჭერას ვგრძნობ, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ერთმანეთის გვერდში დგომით შევძლებთ, რომ საბურთალო ბევრად წარმატებული იყოს და კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ. გვსურს, რომ ევროტურნირებზე კარგად წარმოვაჩინოთ თავი და რამდენიმე ეტაპი გადავლახოთ; ასევე, შიდა პირველობაზე რომელიმე ტიტული მოვიგოთ.

– გასული წელი რომ შევაფასოთ – როგორი იყო 2021 წელი?

– მართალია, შარშან გარკვეული რყევები გვქონდა, მაგრამ სასიამოვნოა, რომ უტიტულოდ არ დავრჩით. სამეულში ვერ მოვხვდით, თუმცა მოვიგეთ თასი და მოვიპოვეთ ევროტურნირის საგზური.

– გასული სეზონის შემდეგ რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა გუნდი, მაგრამ მიიღეთ სოლიდური შევსებაც.

ბევრი ამბობს, რომ 2022 წელს საბურთალო ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. რამდენად კმაყოფილი ხართ სელექციით?

– მინდა, მადლობა გადავუხადო იმ ფეხბურთელებს, რომლებიც წავიდნენ. მათ დიდი შრომა გასწიეს და წვლილი შეიტანეს გუნდის წარმატებაში. რაც შეეხება მატებას – დიდი იმედი მაქვს ახალწვეულების, ისინი კვალიფიციური და გამოცდილი ფეხბურთელები არიან. მინდა ყველა მათგანს, რომლებიც მომავალში საბურთალოს მაისურს მოირგებენ, წარმატებები და წინსვლა ვუსურვო. არ მგონია, ახალწვეულებს ადაპტაცია გაუჭირდეთ. მათ რიცხვში რამდენიმე ისეთი ფეხბურთელიცაა, რომლებიც 2-3 წლის წინ ამ კლუბის ღირსებას იცავდნენ.

– როგორი იქნება 2022 წლის სეზონი?

– უკეთესის მოლოდინი მაქვს, როგორც ყოველთვის, ანგარიშგასაწევი და ბრძოლისუნარიანი გუნდი გვყოლება. ბევრი გამოწვევა გველის და კარგად უნდა გავართვათ თავი. გასულ წელს თუ თასი მოვიგეთ, წლეულს სხვა ტიტულებზეც უნდა ვიფიქროთ.

საქართველოს ჩემპიონატის მატჩებში მოგება არაა მარტივი. ყველასთან დიდი ბრძოლა გიწევს, საკუთარ კედლებში თუ სტუმრად. თბილისისა თუ ბათუმის დინამოები, დილა, ტორპედო, სამგურალი – ეს გუნდები ზედა პოზიციებისთვის იბრძოლებენ.

– 2021 წლის მიწურულს არასასიამოვნო ფაქტიც მოხდა – ლოკომოტივის ძირითადმა ბირთვმა, სამწვრთნელო შტაბთან ერთად, ფინანსური პრობლემების გამო დატოვა კლუბი. რა უნდა გაკეთდეს, რომ მომავალში მსგავსი ფაქტები არ განმეორდეს?

– არც ისე დიდი ხნის წინ ლოკომოტივში ვმუშაობდი. ეს კლუბი ჩემთვის რიგითი კლუბი არაა. რა თქმა უნდა, გულდასაწყვეტია, რომ ასეთი სიმპათიური გუნდი ფაქტობრივად დაიშალა, თუმცა იმედს ვიტოვებ, რომ მსგავსი ფაქტები მომავალში აღარ განმეორდება. ხელშეწყობა უნდა მოხდეს, რათა ბევრი ძლიერი და კარგი გუნდი გვყავდეს საქართველოში. ეს ისევ და ისევ ჩვენს წინსვლასა და წარმატებაზე აისახება.

– ზემოთ ახალი გამოწვევები ახსენეთ. ახალი გამოწვევა თებერვალში სუპერთასის მატჩით იწყება, შემდეგ – ჩემპიონატი და თასი, მერე – ევროტურნირები. მზად არის გუნდი ამ ყველაფრისთვის?

– გუნდში სასიამოვნო და საბრძოლო განწყობაა. ყველანი შემართებითა და იმედიანად ვართ. სუპერთასამდე თვეზე ცოტა მეტია დარჩენილი, თუმცა მანამდე სრულყოფილად მოვემზადებით. მომავალი მეტოქე სუპერთასზე ძლიერი გუნდია, თუმცა ჩვენ მორიგი ტიტულისთვის ვიბრძოლებთ.

– მთავარი მწვრთნელის რანგში პირველი ტიტული მოიგეთ. ახლანდელი გადასახედიდან როგორ გაიხსენებთ იმ დღეს?

– ფეხბურთელობისას ბევრი პრიზი თუ ტიტული მაქვს მოგებული, მაგრამ მწვრთნელობისა თუ ფეხბურთელობის პერიოდში მოგებულ ჯილდოებს შორის დიდი განსხვავება ყოფილა. რთული იყო ემოციების გაკონტროლება, მაგრამ ვცდილობდი გამეკონტროლებინა საკუთარი თავი. იმედია, არ იქნება უკანასკნელი ჯილდო. მსურს, რაც შეიძლება მეტი ტიტული მოვიგო. ეს წარმატება დიდი შრომის შედეგად მოვიდა.

საბურთალო ყოველთვის გამოირჩეოდა ერთიანობით, ერთმანეთის გვერდში დგომითა თუ სხვადასხვა მიდგომით. სწორედ ამ ერთიანობამ, სწორმა მუშაობამ, დაუღალავმა შრომამ განაპირობა ის, რომ კლუბმა ბოლო ოთხ წელიწადში ოთხი ტიტული მოიგო. არ არის პატარა ამბავი, სერიოზული მაჩვენებელია.

კლუბის ხელმძღვანელები – ტარიელ ხეჩიკაშვილი, კახა კაშია, გოჩა თამაზაშვილი, კახა ამირიძე – ყველაფერს აკეთებენ, რომ მაქსიმალურ კომფორტში ვიყო. მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ კლუბში მუშაობს, ვინც საბურთალოს ყოველდღიურ ცხოვრებაშია ჩართული. ძალიან დიდ სამუშაოს ატარებს სამწვრთნელო შტაბი, ფეხბურთელებიც მაქსიმალურად გვერდში გვიდგანან. აკადემიიდან ყოველწლიურად შევსებას ვიღებთ, რაც კიდევ უფრო გვიმარტივებს მუშაობას. მჯერა, ერთმანეთის გვერდში დგომითა და ბევრი მუშაობით, კიდევ ბევრ წარმატებას მივაღწევთ.

– თბილისურ და თურქულ შეკრებებზეც რომ გვითხრათ.

– თბილისში მინიშეკრება დავგეგმეთ. სამი ამხანაგური მატჩის გარდა, გვექნება ორჯერადი ვარჯიშებიც. 29 იანვრიდან კი თურქეთში გავემგზავრებით, სადაც დასკვნით მომზადებას გავივლით და პარალელურად უცხოური კლუბების წინააღმდეგ საკონტროლო მატჩებსაც გავმართავთ.

საფეხბურთო სეზონი სუპერთასით დაიწყება

2022 წლის საფეხბურთო სეზონი 20 თებერვალს სუპერთასის მატჩით დაიწყება. სეზონის პირველი ტიტულისთვის ბრძოლაში საქართველოს ჩემპიონი, ბათუმის დინამო საქართველოს თასის მფლობელ თბილისის საბურთალოს დაუპირისპირდება.

სუპერთასის ლოკაცია და მატჩის დაწყების დრო მოგვიანებით გახდება ცნობილი.

კრისტალბეთ ეროვნული ლიგის გათამაშება, სტარტს 26 თებერვალს აიღებს, კრისტალბეთ ეროვნული ლიგა 2 კი, 1 მარტი დაიწყება. დებულების მიხედვით, გუნდები 4 წრედ ითამაშებენ.

2022 წლის ლიგა 3-ის და ლიგა 4-ის პირველი ტური 4 აპრილს შედგება და ორივე ლიგაში 16-16 გუნდი მიიღებს მონაწილეობას.

გუნდები ერთმანეთს 2 წრედ დაუპირისპირდებიან.

ბასილაშვილის მარცხიანი დასაწყისი

ნიკოლოზ ბასილაშვილმა 2022 წელი მარცხით დაიწყო. საქართველოს პირველმა ჩოგანმა სიდნეის 250-ქულიანი ტურნირის მერვედფინალში ბრიტანელ ენდი მარისთან 7:6, 6:7; 3:6 წააგო.

სამივე სეტი თითქმის იდენტური გამოდგა: ჩვენებურმა პირველი სეტი ცუდად დაიწყო და მეოთხე გეიმში 1:3 ჩამორჩა. ნიკამ სეტის გადარჩენა მაშინ მოახერხა, როდესაც მეტოქე აწვდიდა, ხოლო ტაიბრეიკზე მოიგო.

მეორე სეტში ბრიტანელი 4:2 დაწინაურდა და შემდეგ სეტზეც (5:4) აწვდიდა. ნიკამ ამჯერად სამი სეტპოინტი გადაარჩინა და უკუბრეიკით თამაშში დარჩა. ტაიბრეიკზე კი ამჯერად მარიმ იმარჯვა და სეტებში ანგარიში გაათანაბრა.

მესამე სეტის დასაწყისშივე ბასილაშვილმა მეტოქეს ისევ „აჩუქა“ ჩაწოდება, შემდეგ კი მატჩის შემოტრიალება ვეღარ მოახერხა და 3:6 დათმო.

ავსტრალიის სხვა ქალაქში, მელბურნში, დაემშვიდობა ავსტრალიის ღია პირველობას ქართველი ჩოგბურთელი ეკო გორგოძე, რომელიც შეჯიბრებას საკვალიფიკაციო ეტაპზე გამოეთიშა.

გორგოძე კიმბერლი ბირელთან 2:6, 1:6 დამარცხდა.

ჩვენებური ასპარეზობას წყვილებს შორის გააგრძელებს, სადაც ძირითად ბადეშია.

შედეგები

11 იანვარი

ფეხბურთი

ათჩიჯის ეროვნული თასი

ფინალური რაუნდი

ალჟირი-სიერა ლეონე 0:0

ნიგერია-ეგვიპტე 1:0

სუდანი-გვინეა ბისაუ 0:0

ინგლისი. ჩემპიონშიპი

საუთჰემპტონი-ბრენტფორდი 4:1

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	21	17	2	2	53-13	53
2.ჩელსი	21	12	7	2	45-16	43
3.ლივერპული	20	12	6	2	52-18	42
4.არსენალი	20	11	2	7	33-25	35
5.ვესტ ჰემი	20	10	4	6	37-27	34
6.ტოტენჰემი	18	10	3	5	23-20	33
7.მანჩესტერი	19	9	4	6	30-27	31
8.ვულვზი	19	8	4	7	14-14	28
9.ბრაიტონი	19	6	9	4	20-20	27
10.ლესტერი	18	7	4	7	31-33	25
11.საუთჰემპტონი	20	5	9	6	24-30	24
12.კრ.პალასი	20	5	8	7	29-30	23
13.ბრენტფორდი	20	6	5	9	24-30	23
14.ასტონ ვილა	19	7	1	11	25-30	22
15.ევერტონი	18	5	4	9	23-32	19
16.ლიდსი	19	4	7	8	21-37	19
17.უოტფორდი	18	4	1	13	22-36	13
18.ბარნლი	17	1	8	8	16-27	11
19.ნიუკასლი	19	1	8	9	19-42	11
20.ნორვიჩი	19	2	4	13	8-42	10

ინგლისი. ჩემპიონიგა

რედინგი-ფულემი 0:7

იტალია. სერია ა

კალიარი-ბოლონია 2:1

სატურნირო ცხრილი:

1.ინტერი	20	15	4	1	51-16	49
2.მილანი	21	15	3	3	46-23	48
3.ნაპოლი	21	13	4	4	37-15	43
4.ატალანტა	20	12	5	3	44-26	41
5.იუვენტუსი	21	11	5	5	32-21	38
6.ლაციო	21	9	5	7	43-39	32
7.რომა	21	10	2	9	35-28	32
8.ფიორენტინა	20	10	2	8	34-29	32
9.ტორინო	20	8	4	8	27-19	28
10.სასუოლო	21	7	7	7	36-33	28
11.ემპოლი	21	8	4	9	34-42	28
12.ბოლონია	20	8	3	9	28-33	27
13.ვერონა	21	7	6	8	37-35	27
14.უდინეზე	19	4	8	7	28-34	20
15.სამპდორია	21	5	5	11	28-38	20
16.სპეცია	21	5	4	12	21-41	19
17.ვენეცია	20	4	5	11	18-37	17
18.კალიარი	21	3	7	11	21-42	16
19.ჯენოა	21	1	9	11	20-39	12
20.სალერნიტანა	19	3	2	14	13-43	11

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

მადლიერ პაციენთა რიცხვი ათასობითაა:

ლია თეთრაშვილი: მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

დათო ჭელიძე: წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი ბუასილით. ყველას ვურჩევ, მიაკითხოს ლამარა თოდუას, ნამდვილად სასწაულს ახდენს მისი მალამო.

ჟანა ამირანაშვილი: ბავშვს საბავშო ბაღში გადაედო ტილები, შემდეგ მთელს ოჯახს გადაგვდო. ლამარა თოდუას მიერ დამზადებული ნაყენით ერთ პროცედურის შემდეგ სრულიად გავთავისუფლდით.

ლილი კიზირია: 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. სქელი მურაბა; 2. ფრჩხილების, თმის შესაღები მოწითალო-ყვითელი საღებავი; 3. წარმატებული საქმის აღსანიშნავად გამართული პურმარილი; 4. მუსიკალური გამის პირველი ბგერა; 5. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 6. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი უნგრელი მოკრივე; 7. საჯარო კამათი მეცნიერულ, ლიტერატურულ თემებზე; 10. ტანსაცმლის მწარმოებელი ესპანური ფირმა; 11. ქალღმერთ ათენას ტაძარი საბერძნეთში; 12. კარსტული მღვიმე იმერეთში; 13. ავტომატურად ჩამრთველ-ამომრთველი ელექტრონული ხელსაწყო; 16. ეგვიპტის ნაკრებისა და „ლივერპულის“ ფეხბურთელი; 18. დაჭაობებული ნიადაგის ამოშრობის ერთ-ერთი მეთოდი; 19. ქართული ცხენოსნური თამაში ბურთით; 21. საქონლის ნაწლავში ჩატენილი დაკეპილი და შეკმაზული ხორცის პროდუქტი; 24. უნგრული ღვინო.

თარაზულად: 1. ქურციკის თურქული სახელწოდება; 3. იაპონიის იმპერატორთა ტიტული; 8. თაფლიანი ფიჭა; 9. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება თბილისში; 14. მუზეუმი მილანში; 15. მსუბუქი ავტომობილის ძარის ტიპი; 17. რკინის მადნიდან გამოდნობილი ნახშირბადის შემცველი ლითონი; 20. ქართველი კინორეჟისორი; 22. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 23. თეატრალური სცენის გასანათებელი პროჟექტორი; 25. იაპონელი მევიოლინე ქალი; 26. სოფელთა სახელწოდება ჩრდილო კავკასიაში; 27. იტალიის საინფორმაციო სააგენტო; 28. ღია ცის ქვეშ გამართული სახალხო დღესასწაული.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბრინჯაო; 2. ბოხოხი; 3. ჩაინტაუნი; 4. მუჯირი; 6. მელბურნი; 7. უშბა; 11. დესპოტი; 13. დეფექტი; 15. არაყი; 16. ჰონდა; 18. რენტა; 19. ტუმბო.

თარაზულად: 6. რატუშა; 8. ბოზბაში; 9. ბაჯაღლო; 10. ჯომარდი; 12. სილვა; 14. წიქარა; 17. ნეფერტიტი; 20. პროლოგი; 21. ჭყვიში; 22. ტაიბეი; 23. ფარავანი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ლუტი; 2. არა; 3. კავასაკი; 4. კუ; 5. რიგოლეტო; 6. წეკო; 7. შავთელი; 10. ფსოუ; 11. შოტლანდია; 12. ბალაგანი; 13. დუყი; 16. კრეოლი; 18. ჰოკაიდო; 19. ასორტი; 21. თერგი; 24. ლახტი.

თარაზულად: 1. ლამარია; 3. კოდაკი; 8. რივერა; 9. ტუფი; 14. ლორია; 15. ლუგელა; 17. ლიმა; 20. კვართი; 22. ტროპი; 23. სიგელი; 25. ურო; 26. ოქრო; 27. ხადა; 28. ხაბიზგინა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

13 იანვარი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0875	ევრო — 3.5065
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2064	100 რუსული რუბლი — 4.1407

ამინდის პროგნოზი 13 იანვრისათვის

დეპაიმ, შესაძლოა, სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლოს

ბარსელონის ჰოლანდიელმა ფორვარდმა მემფის დეპაიმ, შესაძლოა, სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლოს, რადგან ბოლო შეხვედრაში ის დამაჯერებელი არ იყო და, გარდა ამისა, ანსუ ფატი და ბრაიტვეიტი გამოჯანმრთელდნენ.

შესაძლოა, ამის შემდეგ დეპაიმ გაცილებით ნაკლები დრო გაატაროს მოედანზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ფატი კარგ თამაშს აჩვენებს და დეპაი კვლავ არადამაჯერებელი იქნება.

მამარდაშვილს ძირითად შემადგენლობაში თამაშის შანსი მიეცა

ვალენსიაში კოვიდის აფეთქებაა და ეს დაავადება ბევრ ფეხბურთელს დაუდგინდა, მათ შორის, მეკარე ისპერ სილისენს. გიორგი მამარდაშვილისთვის ეს შანსია, რადგან სილისენის არყოფნის დროს, დიდი ალბათობით, სწორედ ის დაიკავებს ძირითად შემადგენლობაში ადგილს.

მამარდაშვილი სეზონის დასაწყისში პირველი მეკარე იყო, მაგრამ რამდენიმე შეცდომის გამო თავისი ადგილი დაკარგა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ალიგატორმა უზარმაზარი პითონი მოკლა და შეჭამა

ამერიკის ფლორიდის შტატში ალიგატორი იმ დროს შენიშნეს, როდესაც ის უზარმაზარ ვეფხვისებურ პითონს ჭამდა.

ევერგლეიდსის ეროვნული პარკის დამთვალიერებლის მიერ გადაღებული ფოტოსურათები ფეისბუქში გამოქვეყნდა. ერთ-ერთი თვითმხილველის თქმით, სურათი შარკსველის დაბლობშია გადაღებული. მისი თქმით, ალიგატორს მათ თვალწინ უწევდა საკუთარი ნადავლის თანამოძმეთაგან დაცვა.

სპეციალისტების თქმით, ალიგატორი ძალიან იშვიათად ახერხებს ვეფხვისებური პითონის დამარცხებას.

– ჩვეულებრივ ასე არ ხდება, – განაცხადა ბუნების დაცვის ორგანიზაციის წარმომადგენელმა, – იმისთვის, რომ ამდენად დიდი ნადავლი შეჭამოს, ალიგატორმა ის პატარა ნაჭრებად უნდა დაგლიჯოს, ხოლო პითონების ასე დაგლეჯა არც ისე ადვილია.

უფრო ხშირად პირიქით ხდება. პითონი ასწრებს ალიგატორზე შემოხვევას და მის მანამდე გადაყლაპვის დაწყებას, სანამ მსხვერპლი მიხვდება, თუ რა ხდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

13 იანვრისათვის

ვერძი – იმპულსურობა საქმეს გააფუჭებს. დღეს საოჯახო და პირადი პრობლემების მოგვარება მოგიწევთ. **კურო** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. დიდი ყურადღებით მოეკიდეთ ფინანსებს. **ტყუპები** – კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისათვის, ასევე სამოგზაუროდ ან მივლინებაში წასასვლელად. **კირჩხიბი** – საკუთარი ძალებისადმი იმედგაცრუებაა მოსალოდნელი. ნუ დაივიწყებთ პარტნიორებს, რომლებიც ერთ დროს წარმატების მიღწევაში დაგეხმარნენ. **ლომი** – კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისას სიფრთხილე გმართებთ. საკუთარი ადგილი იცოდეთ. **ქალწული** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. იაქტიურეთ. საქმიანი მოლაპარაკებებისათვის შეუფერებელი დროა. **სასწორი** – სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობა წარმატებული იქნება. დაუფიქრებელ, სპონტანურ გადაწყვეტილებებს არასასურველი შედეგი მოჰყვება. **ღრიანკალი** – ფინანსებს გაუფრთხილდით. გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები. საკუთარი შესაძლებლობები კარგად გათვალეთ. **მშვილდოსანი** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ, რაც, შესაძლოა, მოულოდნელმა მივლინებამ განაპირობოს. **თხის რქა** – სერიოზული საქმიანი მოლაპარაკებები არ წამოიწყოთ. უმჯობესია, თუ დღეს ყოფითი პრობლემების მოგვარებაზე იზრუნებთ. **მერწყული** – დიდი ყურადღებით მოეკიდეთ ფინანსებს. ნებისმიერი გაუთვალისწინებელი ხარჯი სახიფათოა. **თევზები** – დიდი დატვირთვა გელით როგორც ფიზიკურად, ისე – ემოციურად. საქმიან ქაღალდებს ხელს ნუ მოაწერთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

რჩევა სახლის პატრონს:

– თუ დომოფონში დაგირეკეს და სულელური კითხვა დაგისვეს: „სახლში ხარ?“ ნუ გაღიზიანდებით და მშვიდად უპასუხეთ: „და შენ სად ხარ?“

●●●

შვილი დედას ეკითხება:

– დედიკო, მამიკო მორცხვი კაცია?

– მორცხვია, აბა რა, თორემ ახლა ხუთი წლით უფროსი იქნებოდი.

●●●

ქალი მამაკაცს ეუბნება:

– ძვირფასო, სამი მთავარი სიტყვა მითხარი.

– მოდი, კიდევ ვიწვეთ.

●●●

ბიჭი გოგონას მიმართავს:

– გოგონი, ისეთი სახით მიყურებთ, თითქოს სახლში მარტო იყოთ დარჩენილი.

●●●

ქალი ვოკალის მასწავლებელთან მივიდა, წაუმღერა და ეკითხება:

– ჩემი მონაცემებით ოპერაში რომ შევიდე, შეიძლება?

– რა თქმა უნდა, თუ ბილეთს აიღებთ.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– აბა, როგორაა საქმე, რა ხდება ახალი?

– როგორ უნდა იყოს, ჩვენ მთავრობას რომ ვუყურებ, მალე შემოიღებენ გადასახადს „ისე უბრალოდ“ და ჯარიმას „რა მნიშვნელობა აქვს, რისთვის?“

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გიორგი ვარსიმაშვილის ფოტოები ნიუ იორკის ნილ გალერეამ საუკეთესოდ დაასახელა

რეჟისორ გიორგი ვარსიმაშვილის მიერ საქართველოში გადაღებული ფოტოები ნიუ იორკის ნილ გალერეამ საუკეთესოდ დაასახელა.

გამოფენაზე საკუთარი ნამუშევრები სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა წარადგინეს. ნომინაციაში „ბუნების საუკეთესო ფოტო“ სწორედ ქართველი ავტორის სურათები შეირჩა.

გიორგი ვარსიმაშვილი:

– ნიუ იორკის ნილ გალერეამ დაიწყო სურათების ონლაინ გამოფენა. ბუნების საუკეთესო ფოტო – გიორგი ვარსიმაშვილი.

გიორგი ცხადაძემ ცოლს ხელი მეორედ სთხოვა

მომღერალმა და მსახიობმა გიორგი ცხადაძემ მეუღლეს, სალომე ლემონჯავას, ხელი მეორედ სთხოვა.

გიორგი ამჟამად ტელეკომპანია „ფორმულას“ დილის გადაცემის წამყვანია. სალომემ გადაცემისთვის სპეციალური რეპორტაჟი მოამზადა. რეპორტაჟის დასრულების შემდეგ კი გიორგიმ საყვარელ ადამიანს ციფრულ სამყაროში ხელი სთხოვა და პასუხად თანხმობა მიიღო.

მარიამ მანაგაძე „მის მსოფლიო მოდელი 2022“-ის გამარჯვებულია

დუბაიში საერთაშორისო სამოდელო კონკურსი „მის მსოფლიო მოდელი 2022“ გაიმართა.

მასში საქართველოდან მონაწილეობა მარიამ მანაგაძემ მიიღო და 90 ქვეყნის კონკურსანტებს შორის პირველი ადგილის მფლობელი გახდა.

მარიამი სამოდელო სააგენტო „კატრინის“ მოდელია.

საერთაშორისო სამოდელო კონკურსი უკვე 32 წელია ტარდება და მასში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ.

თიკა ჯამბურიამ ახალი კლიპი გადაიღო



მომღერალმა თიკა ჯამბურიამ შემოქმედებითი პაუზა დაასრულა და მონატრებულ მსმენელს ახალი წლიდან სასიამოვნო სიახლე შესთავაზა.

მან კომპოზიტორ ავთო ბადუაშვილის სიმღერაზე „თბილისია“ ვიდეორგოლი გადაიღო. გადაღებები ძირითადად თბილისის ძველ უბნებში მიმდინარეობდა.

თიკამ თავისი ახალი ნამუშევარი მსმენელს ინტერნეტის საშუალებით წარუდგინა და უამრავი ნახვა, გაზიარება, მოწონება და დადებითი კომენტარიც დაიმსახურა.

გიორგი კეკელიძის „თომას ზღაპრები“ კანადაში გამოვა



მწერალ გიორგი კეკელიძის „თომას ზღაპრები“ სულ მალე ამერიკაში გაიყიდება:

– ცოტა წარმოდგენაც მიჭირს, მაგრამ „თომას ზღაპრებმა“ ოკეანე გადალახა და მალე კანადაში გამოვა. წიგნი გაიყიდება აშშ-შიც. მთარგმნელი და ლიტ.აგენტი მაია სიმონიშვილი.

„თომას ზღაპრები“ აქამდე გამოიცა ჩინეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიასა და თურქეთში.

ნიკა ქავთარაძის „ენ შოუ“ დაიხურა

ტელეკომპანია „ფორმულაზე“ ნიკა ქავთარაძის იუმორისტული გადაცემა „ენ შოუ“ დაიხურა: ახალი წლიდან მას მაყურებელი ეთერში აღარ იხილავს:

– ვისაც გეგონათ, რომ გადაცემის დახურვა იყო ამ წლის ცუდი ამბავი, არა, მეგობრებო – კოვიდი დამიდასტურდა. გაიხსენეთ, ვინ გნახეთ ამ დღეებში. სიმპტომები ფაქტობრივად არც მაქვს.

მოქანდაკე მერაბ მერაბიშვილი გარდაიცვალა

90 წლის ასაკში მოქანდაკე მერაბ მერაბიშვილი გარდაიცვალა.

საქართველოს სახალხო მხატვრის ცნობილი ნამუშევრებია ალექსანდრე გრიბოედოვის ძეგლი თბილისში, გენერალ პეტრე ბაგრატიონის ცხენოსანი ძეგლი თბილისში, ერეკლე II-ის ცხენოსანი ძეგლი თელავში, შოთა რუსთაველის ძეგლი ბუდაპეშტში... მოქანდაკის ცნობილ კომპოზიციებს შორისაა „სევდა“ და „პრომეთეოსი“. მან ასევე შექმნა არაერთი ცნობილი საზოგადო მოღვაწის პორტრეტიც.

მერაბ მერაბიშვილი საქართველოს მხატვართა კავშირის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და რუსეთის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი იყო. შემოქმედებითი საქმიანობის პარალელურად, ის აქტიურად ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას და სხვადასხვა წელს იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის პედაგოგი, ამავე აკადემიის ხატვის კათედრის გამგე და მთავარი მრჩეველი.

მერაბ მერაბიშვილს 2002 წელს მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება, სხვადასხვა წელს გახდა დიმიტროვის ოქროს მედლისა და რუსეთის სამხატვრო აკადემიის ოქროს მედლის მფლობელი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↓



შვეულად: 1. გემთმშენებლობის ცენტრი პოლონეთში; 2. ჩარხზე მომუშავე ოსტატი; 3. საჭმლის მომზადების ხელოვნება; 4. წვრილად დაჭრილი გამხმარი თამბაქოს ფოთლები; 5. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ამერიკული კომპანია; 7. იაპონური ელექტროტექნიკური კონცერნი; 11. თეთრი ფერის ძველი ქართული სახელწოდება; 13. რიგითი მეზღვაური; 15. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური იტალიაში; 16. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 18. ტოლგვერდა და ირიბკუთხა პარალელოგრამი; 19. სტანდარტული ფორმის კითხვარი ცოდნის შესამოწმებლად.

თარაზულად: 6. სანადირო თოფით სასროლი ყველაზე წვრილი საფანტი; 8. თაფლისგან მომზადებული მათრობელა სითხე; 9. ბალახზე, ფოთლებზე შეყინული ცვარი; 10. სიტყვის ბოლოსართი; 12. მონასტერი სიღნაღის რაიონში; 14. განუხორციელებელი ოცნება, ფანტაზია; 17. საერთაშორისო კომპიუტერული საინფორმაციო ქსელი; 20. სიმღერა მუსიკალური თანხლების გარეშე; 21. ტერიტორიული ერთეული რუმინეთში; 22. პატარა კაფე-სასაუზმე საფრანგეთში; 23. ამერიკელი იურისტი, დეტექტიური ჟანრის მწერალი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა